იალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 25 აგვისტო 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 180 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 180

ნის გზის მილიციონერთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს ტრაღიკულათ გარდაცვალებას

**ნიკიფორე რუსიეიშვილისა.**

დაკრძალვა მოხდა 6 აგვისტოს სოფელ მერიაში (გურია).

---

რმათ დამწუხრებულნი მშობლები ნატალია ილარიონის ასული, ები მიხეილის ძე, დები თამარი და მარიამი ცინცაძეები, მეულე ბიქტორ ნიკოლოზის ძე, დედამთილი ფეფიკო, მამამთილი ნიკოზი, მულები ალექსანდრა, ფაჩა, მაშიკო, მაზლი შალიკო ფარულავა, ბეა ტასო ივანეს ასული, ბიძები გიორგი, დიმიტრი, ივანე, რძლები ბარარე, ირინე და ალექსანდრა, ბიძაშვილები ნინა, ქეთო, ალექსანდრე ქოულაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

**ანნა იოსების ასული ცინცაძე-ფარულავასას**

ამოსვენება დღეს, 25 აგვისტოს, დილის 9 საათზე, საკუთარი სახლი, პეროვის 3-მე შესახვევი ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

---

ამწუხრებული მეუღლე ნადეჟდა ილიას ასული და დაობლებული შვილემარო, ტასო, ქეთინო და ამრიკო ციციშვილები მწუხარებით აუწყებენ თესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ამ თვის 12 (ძვ. სტ.) გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ვერაგულათ მოკლულ

**ლევან ამირიდონის ძის ციციშვილის**

სულის მოსახსენებლათ სოფ. წრომში განსვენებულის საფლავზე.

---

## ონალ-დემოკრატების შაობა ეროვ. საბჭოში

ლამენტი პოლიტიკურ ცხოვრების ა.

ქვეყანაში, რომელსაც საყოველთაო ვნო უფლება აქვს მოპოებული, ადოების ყველა ჯგუფს ყავს პარტში თავისი წარმომადგენელი. აქ ბულია პარტიათა შორის იდეიური ძოლა. დემაგოგიას, რასაკვირველია, აქაც აქვს ადგილი, მაგრამ ეს არ პარლამენტის ამა თუ იმ პარტიის წეობის დამახასიათებელი.

სხვაა ჩვენში.

მომქმედი სოციალისტური პარტიეყარებიან მცხოვრებთა ამა თუ იმ ულ საზოგადოებრივ ჯგუფებს და მ მათი ფიზიონომიაც ეროვნულ ში ასე თუ ისე აშკარაა: ისინი ამ იმას, რაც მათ ნამდვილათ სურთ. პოზიცია იდეიურია.

ლოდ ერთი პარტია წარმოადგამონაკლისს: ეს არის პარტია ულ დემოკრატებისა. ამ პარტიას აქვს განსაზღვრული ბურჟუაზიუროგრამა, მაგრამ ამ პროგრამას ანხორციელებს: პირიქით ამ პართელი მოღვაწეობა მისი პროგწინააღმდეგ არის მიმართული. დ ხდება ასე, ჩვენ ეს არა ერთღვინიშნავს: ნაციონალ-დეტებმა თუმც ქაღალდზე გაანეს რუს კადეტების პროგმაგრამ ეს გარემოება საკმაო არ ა ნამდვილ ეროვნულ-დემოკრამუშაობისათვის: ის ლაშქარი, ზედაც ნაციონალ-დემოკრატიუტია ეყრდნობა, გარდამავალ წოწარმოადგენს და ისტორიას არ მაგალითი, რომ გარდამავალ, პაულ წოდებას იდეური ბრძოლა ებინოს ამ წოდებას თან სდევს ივ გათახსირების და უმოქმედოლემენტი და ეს წითელ ზოლივით ულია ნაციონალ დემოკრატების წეობაში.

თალია, ეროვნულ-დემოკრატიულ აში ადგილი აქვს ბურჟუაზიულ არეობასაც, მაგრამ ეს უკანასკნესრულიად დაჩრდილულია ფეოურ ელემენტებით.

თ აიხსნება ის თვალსაჩინო განბა, რომელიც არსებობს ეროვნულრატიულ ფრაზეოლოგიასა და მოქს შორის.

პარტიის ბელადები ეროვნულ საბთუ პრესაში მუდამ იმას გაიძახიენ ვართ ოპოზიცია და სახელმწიოვი პარტიაო.

ამ მათი ოპოზიციონერობა არაარ გასცილებია უბრალო კინკს და ხმაურობის ატეხას. გადაითეროვნულ საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, განსაკუთრებით ეროვნულ დემოკრატების შეკითხვების გამო, და თქვენ დაინახავთ, რომ ამ პარტიამ ვერც ერთხელ ვერ შესძლო თავის პოზიციის დასაბუთება. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ორი უკანასკნელი შეკითხვა, რომელიც მათ შეიტანეს: რკინის გზის მთავარ კომიტეტის მოქმედების და ბორჯომის წყლების და სხვა სახელმწიფო ქონების ექსლოატაციის გამო.

მათი სახელმწიფოებრიობაც ვერ გასცილებია წუწუნს მამულების ჩამორთმევის გამო. მათ ისიც კი დაავიწყდათ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს სწორეთ ბურჟუაზიამ ჩამოართვა ფეოდალებს მამულები, მაგრამ არავის, გარდა თავად-აზნაურობისა, არ უთქვამს, ვითომ საფრანგეთის მაშინდელმა ბურჟუაზიამ სახელმწიფოებრიობის პრინციპს უღალატა.

ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები კი თავად-აზნაურობის თვალით უცქერიან დღევანდელ ცხოვრებას და რა გასაკვირია, რომ მათი მოქმედება ყოველგვარ პრინციპიალურ და იდეიურ ნიადაგს იყოს მოკლებული.

მხოლოდ მაშინ შესძლებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იდეიურ ბრძოლის წარმოებას, როცა ფეოდალურ ელემენტებისაგან გაიწმინდება. ხოლო როდის მოხდება ეს,—ძნელი სათქმელია.

## სასურსათო სამინისტრო

საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ სასურსათო სამინისტროს უწესო-მოქმედების შესახებ. გავრცელებულ ხმებს თუ დაეჯერება, ბევრს უკანონობას და ბოროტ-მოქმედებასაც აქვს თურმე ადგილი.

გავრცელებულ ხმებს ჩვენ არ ვაძლევთ საბუთების მნიშვნელობას, ამიტომაც ვერაფერს ვიტყვით მათ ღირებულებაზე.

მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს საკითხის არსებითს მხარეს. და არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სანამ ესა თუ ის დაწესებულება საზოგადოებას ემსახურება, ყველა ადვილათ ურიგდება ამ დაწესებულების შეცდომებსაც: შეუცდომელია ის, ვინც არაფერს აკეთებს. ეს დებულება საზოგადოებას კარგათ აქვს შეგნებული. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ სასურსათო სამინისტროზე ასე ბევრს ლაპარაკობენ დღეს, ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ხალხი სამართლიანათ უარყოფს ამ სამინისტროს საჭიროებას.

მას შემდეგ, რაც მთავრობამ აღიარა თავისუფალ ვაჭრობის პრინციპი და ერთის დაკვრით მოსპო სასურსათო კომიტეტები, თავისთავად დაიბადა საკითხი: საჭიროა თუ არა არსებობა თვით სასურსათო სამინისტროსი და შეიძლება თუ არა მთავრობის ამ დადგენილებას არ მოყვეს, როგორც ლოღიკური დასკვნა, სასურსათო სამინისტროს გაუქმება.

სასურსათო სამინისტროს არსებობას დღეს ვერავითარი მოსაზრებით ვერ გავამართლებთ. დღევანდელ პირობებში ეს მკვდარი დაწესებულებაა.

ამიტომ მთავრობა კარგს იზამდა, რომ ეს სამინისტრო გაეუქმებია. ამისთვის საჭირო არ არის კანონის გამოცემა: რამდენადაც ვიცით, ეს სამინისტრო არ არის კანონმდებლობითის წესით შემოღებული. გარდა ამისა ეროვნულმა საბჭომ უკვე გამოსცა კანონი, რომელიც მთავრობას უფლებას ანიჭებს ზოგიერთ დაწესებულების ლიკვიდაცია მოახდინოს.

თავის თავად ცხადია, ჩვენ არ ვამბობთ იმას, ვითომ სურსათზე არავინ არ უნდა ზრუნავდეს: მაგრამ ამისათვის საკმაოა მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებობდეს სასურსათო საქმეთა რწმუნებულის თანამდებობა და არა მთელი სამინისტრო.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

(შთაბეჭდილებანი).

23 აგვისტოს სხდომა ნაც. დემოკრატებისათვის ტრაღიკული სხდომა იყო. ამ სხდომაზე ნაც. დემოკრატებს მათმა ლიდერმა გ. ვეშაპელმა მეტის-მეტად მწარე დამარცხება არგუნა. არ ყოფილა ისეთი სხდომა, სადაც მათ გამარჯვება რგებოდეთ, მაგრამ არ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ნაც.-დემოკრატების დამარცხება ასეთი საგრძნობი და ძლიერი ყოფილიყოს. თითეული დამსწრე მიუხედავათ იმისა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა ის, და მეტსაც ვიტყვი, თვითონ ნაც.-დემოკრატებიც მწარეთ გრძნობდენ თავიანთ სასაცილო და უნუგეშო მდგომარეობას. ბ. გ. ვეშაპელს შეუტანია შეკითხვა მთავრობისადმი ბორჯომის წყლის უკანონოთ გაცემის შესახებ და მოითხოვდა რაღაც პარლამენტარული კომისიის დანიშვნას, რომელიც მთავრობის და კონტრ-აგენტების შორის დადებულ ხელშეკრულებას გადასინჯავდა. შეკითხვის ავტორი ადის ტრიბუნაზე და მთელი საათი ლაპარაკობს რაღაცეებზე, ხოლო შეკითხვის დასაბუთებაზე კრინტიც არ დაუძრავს (აბა როგორ შეიძლება იმის დასაბუთება, რაც უსაფუძლო და უაზროა), წინა სხდომაზე ბ. გაბაშვილმა „საბუთები" და ქაღალდები ფუთობით მაინც მოიტანა (თუმცა საქმე მაინც წააგო), ხოლო ვეშაპელმა ნაგლეჯ-ნაგლეჯ გაზეთების კითხვით ყურიც კი გამოგვიჭედა. ვეშაპელი უკიჟინებდა მიწათმოქმედების მინისტრს: რათ გაეცით ბორჯ. წყალი ასე ჩქარა, და იაფათო. მიწათმოქმედების მინისტრმა მას უარესი უთხრა. თურმე თვითონ ვეშაპელს იმავე პირობებში (როცა ის ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში იყო) ტყავის გაყიდვაზე მოუწერია ხელი (დაწვრილებით ანგარიშში ნახავთ) ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ყოველ შეკითხვაში ნაც.-დემოკრატებმა (ასეა ალბათ დაპირება) უნდა გაილაშქრონ რევოლიუციაზე და მის მონაპოვრებზე. მკითხველს ახსოვს მათი გალაშქრება წითელ გვარდიაზე, რევ. ტრიბუნალზე და სხ. დღეს მორიგი გალაშქრება იყო აგრარული რეფორმის წინააღმდეგ. თქვენ დანაშაული ჩაიდინეთ, ამბობს ვეშაპელი, რომ უსასყიდლოთ ჩამოართვით ბორჯომის მამული დიდ მთავარსო. ეს თურმე დიდი უკანონობა ყოფილა. ეს ჩვენ არ გვიკვირს, ზუბრების პარტია ასე უნდა მოიქცეს. მთელი დარბაზი სულ განაბული უსმენდა მიწათმოქმედების მინისტრს და მის ამხანაგს, რომლებმაც საბუთებით სამარე გაუთხარეს ნაციონალ დემოკრატებს, ხოლო ამხ. კ. ნინიძემ ისინი შიგ ჩააწვინა და მიწა მიაყარა. ამ რიგათ დღეს მოკვდა სულიერად, ზნეობრივად „სახელმწიფოებრივი პარტია" და ხელში დაგვრჩა თავად-აზნაურების უბადრუკი წარმომადგენელნი. გაბედავენ კიდევ ეს პოლიტიკური ბალღები ასეთი აბდა-უბდით ტრიბუნის მოცდენას? არა მგონია, თუმცა მათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

——

**23 აგვისტოს სხდომა.**

**თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.**

დღის წეს რიგი ასეთია: განხილვა კანონ პროექტისა ზოგიერთ სკოლების სახალხო განათლების მინისტრისათვის გადაცემის შესახებ. განხილვა კანონპროექტისა ეროვნული საბჭოსი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსების შესახებ, შეკითხვა გ. ვეშაპელისა ბორჯომის წყლის, ხე-ტყის და სხვა ქონებათა უკანონოთ გაცემის შესახებ.

თავმჯდომარე: პირველი კანონ-პროექტი დღიურ წეს-რიგიდან უნდა მოიხსნას, რადგანაც ამ საკითხის შესახებ უწყებათა შორის ჯერ მოლაპარაკება სწარმოებს და შეთანხმება არ მომხდარა.

მეორე კანონ-პროექტის შესახებ მოხსენებას აკეთებს კ. ჯაფარიძე (ალიონ.) მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეროვნულმა საბჭომ დაადგინა სამანდატო კომისიის წინადადებით საბჭოში შემოყვანილ იქნას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი განსაზღვრული პროპორციით.

ა ფალავა (ს. ფ.) ჩვენი ფრაქციას კანონ-პროექტის მიღება იმ სახით, რომლითაც ის წარმოდგენილია, ყოვლად შეუძლებლათ მიაჩნია, ჩვენ, რომელნიც ყოველთვის ვიბრძოდით ერთა თავისუფლებისათვის, არ წავალთ ეროვნულ უმცირესობათა მიერ საბჭოში წარმომადგენელთა გამოგზავნის წინააღმდეგ, მაგრამ პირველი მუხლი ამ კანონისა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ მიღებულ ძირითად კანონს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელი უნდა ყავდეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ და არამც და არამც არა იმათ, ვინც ჩვენ გვებრძვიან. არავისთვის დამალული არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენ გვებრძვიან, როგორც ნაძირალები და შავრაზმელები, ისე სოციალისტური პარტიაც. კანონ-პროექტის მეორე მუხლში სწერია, რომ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნონ ეროვნულმა საბჭოებმა, ანუ ადგილობრივმა მომქმედმა პარტიებმა შეთანხმებით შეიმუშავონ კანდიდატთა სიაო. ეს ჩემის აზრით შეუძლებელია. მაგ., აქ არსებობს რუსთა ეროვნული საბჭო, რომელიც ასრულებს ელჩის მოვალეობას, ამიტომ დაუშვებელია რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი ჩვენი ეროვნული საბჭოს წევრი იყოს. ამიტომ კანონ-პროექტი უნდა შეიცვალოს ასე: იმ ეროვნულ უმცირესობათ შეუძლიათ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი, რომელნიც საქართველოს მოქალაქეთ არიან აღიარებულნი. ამასთან აუცილებლათ დაცული უნდა იქნას ის საზომი, რომლითაც შემდგარია ჩვენი საბჭო. საქართველოს მოქალაქენი შესდგებიან რამდენადაც ვიცით სტატისტიკური ცნობებიდან 2 მილიონი 400 კაცისაგან. ამოდენა მცხოვრებს აქ ყავს 120 დეპუტატი. სწორედ ამის და მიხედვით უნდა იქნან მიღებულნი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი საბჭოში. იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენი ფრაქცია მოითხოვს კანონ პროექტი უკანვე დაუბრუნდეს სამანდატო კომისიას გადასასინჯავათ, გადაეცეს კანონპროექტი აგრეთვე საკონსტიტუციო კომისიას; ჩვენი ფრაქცია გამოსთქვამს სურვილს, რომ დრო წარმოდგენისა ამ კანონ პროექტის ეროვნულ საბჭოში განსახილველად განსაზღვრულ იქნას, რადგანაც ისედაც დაგვიანებულია ეს კანონი.

ალ. ლომთათიძე. ბ-ბო, უეჭველია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეებს. არა მოქალაქე არ შეიძლება ეროვნული საბჭოს წევრი იყოს. ეს მთავარი და ერთად ერთი მოსაზრება არის, რომლის ძალით ჩვენ შესაძლოთ მიგვაჩნია ეს კანონპროექტი დაუბრუნდეს კომისიას. ჩვენს ფრაქციას გონია, რომ საჭიროა კანონპროექტი დაუბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიას აქვს დავალებული ძირითადი კონსტიტუციის შემუშავება და საერთოდ სახელმწიფოს აშენების საქმე, ეს კი დროებითია, მეორეთ კი ორივეს რომ გადაეცეს, შეიძლება დაგვიანდეს ამიტომ, ვიმეორებ, ეს კანონპროექტი უნდა დაუბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, მასთან უნდა მიეცეს განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში შეასწორებს და წარმოგვიდგენს. ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა მიეცეს ერთი კვირის ვადა.

თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებებს. საბჭომ მიიღო შემდეგი წინადადებანი: კანონპროექტი დაუბრუნდეს მარტო სამანდატო კომისიას, მიეცეს ერთი კვირის ვადა წარმოსადგენათ.

თავმჯდომარე: ამ საკითხთან დაკავშირებული იყო ს.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილი წინადადება ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ, ამიტომ ეს წინადადებაც მოხსნილია.

განსახილველია გ. ვეშაპელის შეკითხვა.

გ. ვეშაპელი. მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ გაცემულია კერძო პირებზე ბორჯომის წყალი და ხე-ტყის დამუშავება. პირობები, რომელიც ნაჩვენებია ხელშეკრულებაში ჩვენი სახელმწიფოსათვის საზარალოა. 7 მარტს სეიმმა დააკანონა გამოუსყიდველათ კონფისკაცია მოეხდინათ დიდი მთავარის მამულისა. 4 აპრილს გამოცხადებული იყო შეჯიბრება მოხდებაო 7 აპრილს. დრო მეტის მეტად ცოტა იყო. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა მეტი ვადა ყოფილიყო, ერთი თვე მაინც, ეს ასე ხდება არსებულ კანონების ძალით, მაგრამ მინისტრმა იჩქარა და ცუდ პირობებში გასცა ეს მამული საექსპლოატაციოთ. მე აქ არ შევეხები რამდენათ შეეფერება კერძო საკუთრების გამოუსყიდველათ ჩამორთმევა სახელმწიფოებრივ პრინციპებს სულ ერთია ეს ქონება დიდი მთავრის იქნება, თუ უბრალო აზნაურის, პატარასი მქონეს თუ დიდის. ვიტყვი, მხოლოდ, რომ ეს სამართლიანობის პრინციპს არ შეიცავს, (ს. დემ. სკამებიდან ირონიულად: დავუბრუნოთ უკან,—არა?) ამას თქვენ გინდა ნაციონალიზაცია დაუძახეთ, გინდ კონფისკაცია, ერთი კი აშკარაა, ეს მიწები ისევ კერძო პირებს უბრუნდება. მე მასთან გაკვირვებული ვარ იმ გარემოებით, რომ ასეთი დიდი საქმის ინიციატივას და პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე ერთი მინისტრი, როცა რუსეთში და სხვაგან ანალოგიურ საქმეებს მინისტრთა საბჭო სწყვეტს. შემდეგ ორატორს მოყავს გაზეთ „ერთობიდან" ის ადგილები, სადაც ნაჩვენებია ბორჯომის მნიშვნელობაზე და ქონებით სიმდიდრეზე, კითხულობს ხელშეკრულებას ტყის შესახებ და ამბობს, რომ ეს ხე-ტყის მონოპოლია არის და ზარალს მოგვიტანსო, მე ჩემს შეკითხვაში ნათქვამი მქონდა „და სხვა ქონებათა შესახებ", ეს სხვა ქონება არის რუსის მიერ დატოვებული ქონება, ეს ქონება იფლანგება და რატომღაც ამას განაგებს იგივე მიწათ-მოქმედების მინისტრი. შემდეგ ორატორი კითხულობს იმ წერილს, რომელიც ვაჭარ მრეწველთა კავშირს გაუგზავნია მთავრობის თავმჯდომარისათვის და ორი სხვა მინისტრისათვის. წერილში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს ქონებას მოვლა-პატრონობა აკლიაო და მთავრობა ყურადღებას ნაკლებად აქცევსო. (ნ. ხომერიკი: ვინ აწერს ხელს?) ორატორი არ უპასუხებს. ორატორი მოითხოვს არჩეულ იქნას საპარლამენტო კომისია, რომელიც გადასინჯავს ყველა ამ ხელშეკრულებას და ეროვნულ საბჭოს წარმოუდგენს.

პ. გელეიშვილი (მიწ. მოქ. მინ. ამხ.) პატივცემულო ეროვნულ საბჭოს წევრნო! წასრულ კრებაზე კ. აფხაზმა აქ ნატაცია წაგვიკითხა. აფხაზის ნატაცია—ჩვენს მთავრობას შეკითხვები პირად შეურაცხყოფათ მიაჩნიაო. ჩვენ, პირიქით, ძალიან გაგვეხარდა ეს შეკითხვა. გაგვეხარდა არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი შეკითხვები პარლამენტში ჩვენებრ სოციალისტების სტიქიას შეადგენს, არა მარტო იმიტომ, რომ შეკითხვები ჩვენთვის ჩვეულებრივი იარაღია მტრის დასამარცხებლათ, რომ ამ იარაღით ჩვენი საუკეთესო ამხანაგები მრავალის წლობით ძირს უთხრიდენ რუსეთის თვითმპყრობელობას, ამ შეკითხვამ ჩვენ გაგვახარა კიდევ უფრო იმიტომ, რომ მან შემთხვევა მოგვცა ფაქტებით ხელში წარვუდგეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ამ საქართველოს ბედის უზენაესი გამგის წინაშე და დავანახოთ ქვეყანას ვინ არის ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მტერი, ვინ ღალატობს მის ინტერესებს, ვინ უთხრის ძირს მის არსებობას.

მაგრამ ჯერ დავიწყოთ საქმის არსებითი მხარეებით.

რა მოხდა? რაშაა საქმე?

ჩვენ გვეუბნებიან—ბოროტება ჩაიდინეთ, სახელმწიფოს კუთვნილი ქონება ხაზინის საზარალო პირობებში გაეცით. ხაზინას აზარალეთო და სხვა.

მერე მართალია ეგა?

**მივმართოთ ფაქტებს:**

მიმდინარე წლის 17 მაისს ჩვენ ქართველ მოვაჭრეთა ერთ ჯგუფს ბორჯომის წყალი მივყიდეთ და პირობაზე ხელი მოვუწერეთ.

მერე აქ რა მოხდა ისეთი, რომ ქვეყნის ღალატს გვიკიჟინებენ?

გვეუბნებიან—ჯერ ფორმალურათ არა გქონდათ ამის უფლება; ჯერ საჯარო ვაჭრობა უნდა გამოგეცხადებიათ და მერე პირობაზე ხელი მოგეწერათო აქ ფორმალურათ კანონი დარღვეულია და ეს ხომ დიდი დანაშაული არისო.

ჩვენ რომ ასე მოვქცეულიყავით, მართლაც დიდ დანაშაულს ჩავიდენდით. მაგრამ ჩვენმა ინტერპელიანტებმა უნდა იცოდენ, რომ ეს ასე არ იყო.

როგორც მოგახსენეთ, პირობას ხელი მოვაწერეთ 17 მაისს და საჯარო ვაჭრობა კი დანიშნულიყო 7 აპრილს. ვაჭრობა მისდა მიუხედავათ, რომ ის გამოცხადებული იყო ყველა ადგილობრივ გაზეთებში, ყველა ადგილობრივ ენებზე, არ შედგა, რადგანაც არავინ არ გამოცხადდა.

ძალიან კარგი, მაგრამ ვაჭრობა ხელახლათ უნდა გამოგეცხადებიათ და თუ მაშინაც არავინ მოვიდოდა, უფლება გექნებოდათ პირობაზე ხელი მოგეწერათო.

სწორეთ ასე აყენებს კითხვას ჩვენი ულმობელი ინტერპელიანტი. მაგრამ ის სცდება ისე, როგორც ყოველთვის.

არსად ასეთი კანონი არ არსებობს, რომ „переторжки"-ს დანიშნა სავალდებულო იყოს. რუსეთში არსებულ კანონ-მდებლობა მხოლოდ ერთს შემთხვევაში ხდის სავალდებულოს „переторжк"-ებს. ეს მაშინ, როცა საქმე, რუსულათ რომ ვსთქვათ „казенныхъ взысканій касается". ესე იგი, მაშინ, როცა ხაზინის ესა თუ ის კონტრ-აგენტი თავის პირობას ვერ აასრულებს და ხაზინა იძულებულია მისი ქონება გაყიდოს. აი სწორეთ ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ პირველ ვაჭრობას არ დავსჯერდეთ და ხელმეორეთ მოვახდინოთ საჯარო შეჯიბრება. ყოველ სხვა შემთხვევაში ვაჭრობა ინიშნება მხოლოდ ერთხელ.

ასეთ ვაჭრობას კანონის ძალით მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ რაც შეიძლება კაპიტალისტების უფრო ფართე წრეებმა გაიგოს, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას, ესა და ეს საქონელი საჯარო ვაჭრობით იცემაო. კანონის ეს მოთხოვნილება ჩვენ შევასრულეთ,—როგორც მოგახსენეთ, ყველა გაზეთებში გამოვაცხადეთ.

შეიძლება გვითხრათ,—ეს კანონი ხომ ყველამ არ იცის, ვაჭრობაზე მონაწილეობის მიღების მსურველთა უმეტესობას იქნებ მეორე ვაჭრობის იმედი ქონდა და პირველს აღარ დაესწროვო.

არც ეს არის მართალი; ჩვენ აქაც საჭირო წინდახედულება გამოვიჩინეთ; ჩვენ რომ ვინმე შეცდომაში არ შეგვეყვანა, პირველივე „ტორგები" გაუმეორებლათ გამოვაცხადეთ, რუსულათ, რომა ვსთქვათ, ალვიარეთ „безъ переторжки".

ასეთია საქმის ფორმალური მხარე, ასეთია არსებული კანონმდებლობა და სინამდვილე. აბა რაში გვამტყუნებთ?

აბა, სად არის აქ დარღვეული ფორმალური მხარე?

აქ იურისტები არიან მობრძანდით ბატონებო და დაამტკიცეთ ამ ტრიბუნიდან წინააღმდეგი.

ეხლა გადავიდეთ საქმის არსებით მხარეებზე.

საქმე ის არის—ძალიან კარგ პირობებში გავყიდეთ წყალი თუ არა. მე ვამბობ, რომ არა, ჩვენ თვითონ დარწმუნებული ვიყავით, რომ უფრო ნორმალურ პირობებში ამ საქმის უფრო კარგათ მოგვარება შეიძლებოდა.

მაინც როგორი იყო ის დრო, როცა ჩვენ ამ წყალს ვყიდდით?

ეს დრო, ერთი უსაშინელესი დრო იყო ჩვენი რესპუბლიკის არსებობაში. ეს ის დრო იყო, როცა მახვილ ბნედილი მტერი გაჩქარებით მოიწევდა წინ და დღითი დღე ემუქრებოდა ჩვენს ფე-

ზიკურ არსებობას. ეს ის დრო იყო, როცა მტერი ბორჯომს ემუქრებოდა, სულ თხუთმეტიოდე ვერსის მანძილზე იდგა იმისაგან და ჩვენ ბორჯომის სასახლეების ძვირფასი ნივთები ვაგონებში გვქონდა ჩაწყობილი, რომ რაც შეიძლება ჩქარა წაგვეღო საიმედო ადგილზე შესანახათ, მაგრამ ეს საიმედო ადგილი კი ვერ შეგვენახა, რადგანაც არ ვიცოდით რომელ პუნქტს ჩვენის ქვეყნისას—ქუთაისს—თუ თფილისს, — უწინ დაეცემოდა თავს კადნიერი მტერი.

ეს ის დრო იყო, როცა ბორჯომი სამხედრო ბანაკათ იყო გადაქცეული და ჩვენი ამხანაგები ამ ფრონტზე სისხლიდან იწურებოდენ, რომ ცოცხალის თავით მტრისთვის არ დაენებებიათ ეს საქართველოს თვალი და ჯავარი ბორჯომი.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ დროს ინტერპელიანტებისა და მათი პარტიის მედგარი ხმა ბრძოლის ველზე არ გაისმოდა, ისინი სადღაც მიმალულიყვენ და თუ ბოროტ ენებს დავუჯერებთ, თათრების შემოსევა მათ დიდ უბედურებათაც არ მიაჩნდათ, რადგანაც ეს ერთგვარი „პროტივოიადი“ იქნებოდა სოციალისტების წინააღმდეგ.

ჩვენი სამინისტრო კი საქმეს ასე არ უყურებდა და მიწათ მოქმედების მინისტრი, ამხანაგი ნოე ხომერიკი, იქ, ბორჯომში, ათენ-ალამებდა, რომ ბორჯომის დამცველებთან ერთად მიეღო აქტიური მონაწილეობა და ხელი შეეშალა მტრისათვის.

გეკითხებით: —რა უნდა გვექნა ამ დროს?

რაკი საუკეთესო იურისტებმა განგვიმარტეს, რომ როცა მტერი ქვეყნის ოკუპაციას ახდენს, ყოველგვარ სახელმწიფო ქონებას ეპატრონება, მაშინ, როცა კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება ასეთი გარემოებისაგან უზრუნველყოფილია, ჩვენც ავწიეთ და ამ გზით მოვუარეთ საქმეს. ავიღეთ და ექვსი მილიონის ღვინო და ცხენები თფილისის ქალაქის გამგეობას გადავეცით, რა თქმა უნდა ფიქტიური დოკუმენტით, ბორჯომის დამზადებულ ხე ტყის მასალა და სხვა ბევრი მოძრავი ქონება—ქუთაისის ქალაქის გამგეობას გადავეცით ისეთივე დოკუმენტებით.

ის, რაც შეადგენდა საისტორიო—საარქეოლოგიო და ხელოვნებისათვის ძვირფასს განძს, ჩვენ გადავეცით საქართველოს საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებას. ამას დაგიმოწმებს საქართველოს საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ექვთიმე თაყაიშვილი. აი აქ, ამ ზალაში ბევრმა იცის, თუ როგორ ენა წავარდნით ვეძებდი საისტორიო საზოგადოების წევრებს, რომ დაჩქარებით მომეგვარებია ეს საქმე.

რა უნდა გვექნა ასეთ დროს ერთი მილიონისა და ორას ოცდა თექვსმეტი ათასი ბოთლი დამზადებულ წყლისათვის?

ეს ისეთი დიდი რიცხვია, რომ ბ. ინტერპელიანტს იმისი წაკითხვაც კი გაუჭირდა ამ ტრიბუნაზე და ჩვენ ჯიბე უბეებში ხომ ვერ შევინახავდით.

საქმე იმაშია, რომ ის დამზადებული წყალი ფუჭდებოდა და გაჩერება არ შეგვეძლო.

მართალია მთელი ერთი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი წევრი ნაც.-დემოკრატიული პარტიისა, ესე-იგი ქართველი ბურჟუაზია, მოდიოდა ჩვენს სამინისტროში, ეცნობოდა საქმეს და გვევაჭრებოდა წყალზე. უფრო კი იმას გვირჩევდენ, რომ მიგვეყიდა წყალი მათთვის უვაჭროთ, მაგრამ ფასებს 80—90 კაპეიკზე ზევით არ იძლეოდენ.

ჩვენ ეს ვერ ვქენით, რადგანაც ერთი რომ ჩვენ მარტო წყლის ჭურჭელი გვიღირდა ამ ფასებში და მეორე იმიტომ, რომ შეუვაჭრებლად წყლის გაცემის უფლება არც ფორმალურად შეგვეძლო.

ჩვენ შეუვაჭრებლად არ გავეცით და ნაც.-დემოკრატების წყრომა მაინც დავიმსახურეთ. რა იქნებოდა, რომ მართლაც შეუვაჭრებლად მიგვეცა?

მაგრამ, რას ვამბობ? რომ წყალი „უტორგოთ“ მიგვეცა ნაც.-დემოკრატებისათვის, გადაჭრით ვლაპარაკობ, რომ დღეს აქ ამ შეკითხვას ადგილი არ ექნებოდა, რადგანაც ინტერპელიანტებს თავისი ჯგუფობრივი ინტერესები უფრო ალაპარაკებს, ვიდრე სხვა რამე, და თუ ვინმე მათი ამხანაგი ნახევარ და მეოთხედ ფასებში ჩაიგდებდა ხელში ხალხის ქონებას, კიდეც გაუხარდებოდათ.

ქებაძესა და ამხანაგობასთან დადებული პირობა, გულახდილათ გეუბნებით, არც ჩვენ გვაკმაყოფილებდა, რადგანაც ისინი ჩვენ დიდ კაპიტალისტებათ არ მიგვაჩნდა, ამიტომაც როცა გარემოება ცოტათი გამოირკვა და ულმობელი მტერი საქართველოს თავისუფლებისა შეჩერებულ იქნა, ჩვენ დავუძახეთ ქებაძეს და გამოვუცხადეთ, რომ თუ უფრო სერიოზულ კაპიტალისტებს ვიშოვნით მათთან ხელშეკრულებას გავავუქმებდით, როგორი იყო ჩვენი განცვიფრება როცა ქებაძე ამაზე დაგვეთანხმა!

აი აქ იწყება ერთი გარემოება, რომელიც ძალიან კარგათ ახასიათებს თვით ინტერპელიანტს და მის პარტიას.

რაკი გადავწყვიტეთ ქებაძესთან პირობის დარღვევა, ჩვენ შევუდექით კაპიტალისტების ახალი ჯგუფის ძებნას. თუმცა კარგათ ვიცოდით, რომ ნაც.-დემოკრატები ხოშტარიასა და კომპანიის მეთაურობით ბოიკოტს გვიცხადებენ ამ საქმეში, მაგრამ, რადგან ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ ისინი მზათ არიან წყალი იყიდონ, ჩვენც ვმართავთ მათთან მოლაპარაკებას. თვითონ მე საკუთარის ფეხით წავედი ქართველ კაპიტალისტების ბანკში, სადაც ბ. იასონ ლორთქიფანიძეს მივეცი წინადადება წყალი ეყიდა.

აღუთქვი ქებაძის პირობაზე ორი შაური დამეკლო ბოთლზე და მოვთხოვე 600 ათასი მანეთის ერთად შემოტანა, დანარჩენის სამ ოთხ თვეში. ბ. ლორთქიფანიძემ აღმითქვა და იქვე მოიწვია ამ კაპიტალისტთა ჯგუფის ერთი თვალსაჩინო წევრი ბ. ანდრია ქავთარაძე. ქავთარაძეს ჩემი პირობები მოეწონა და აღმითქვა ხოშტარიასთან მოლაპარაკება და დამარწმუნა, რომ სამს დღეში ფულებს მივიღებდი.

ეს იყო და ეს. იმისგან დღემდე პასუხი არ მიმიღია.

ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა მართლაც განსაცდელშია, მაგრამ მას შინაური მტრები მეტ უბედურებას უქადიან, ვიდრე გარეშე, ცხადი მტერი.

ეს შინაური მტრები ჩვენი სპეკულიანტები არიან. ესენი არიან გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ადამიანები, რომელნიც ორ ჯგუფათ არიან გაყოფილნი, პირველი ჯგუფი წვრილფეხა ვაჭრუკებია. მას რა თქმა უნდა, თან ახლავს წვრილი ჩარჩების ღირსებებიც. მაგრამ ქვეყნისთვის კიდევ უფრო საშიშარია კაპიტალისტების ის ჯგუფი, რომლის მეთაურიც ბ. ხოშტარიაა და რომელიც შეადგენს ქართველ ნაც.-დემოკრატიის არსებობის საძირკველს.

მიწათ მოქმედების მინისტრი თქვენ აქ მოგახსენებთ ტყავის ისტორიას, რომლიდანაც თქვენ ბევრს რასმეს დაინახავთ. მე მხოლოდ ეგრეთ ვთქვათ, მეორე ხარისხოვანი ფაქტებით დაგიხატავთ ამ ვაჟბატონების მოღვაწეობას.

მე მოგახსენებთ ხე-ტყის საქმეზე.

ჩვენ ბორჯომში ერთი მილიონი მანეთის სიღირალი დამზადებულ ხე-ტყის მასალა გვაქვს. ამ ხე-ტყეს ვალიც ბევრი ადევს. გლეხებს ნედლი მასალის დამზადებაში ნახევარ მილიონამდე მანეთი ერგებოდა; მუშებსაც არა ნაკლები. გაიგეს თუ არა ამ ვაჟბატონებმა, რომ ბორჯომის მამულის გამგეობა განსაცდელშია და მთავრობასაც არ შეუძლია ერთდროულათ ამდენი ფულის გაღებაო, მაშინვე მიიღეს ზომები ამ აუარებელი ხალხის სიმდიდრის ჩალის ფასათ ხელში ჩასაგდებლათ.

აი როგორი შინაარსის დეპეშა მიიღო ამ ქვეყნის მხსნელი ნაციონალ-დემოკრატ კაპიტალისტებისაგან ბორჯომის მამულის გამგემ:

თანახმა ხართ თუ არა წავიღოთ მთელი დამზადებული ხე-ტყის მასალა შემდეგ ფასებში: პირველი ხარისხის 1 მ. 70 კ. ვერშოკი, დანარჩენი ხარისხები დიდის დაკლებით. ქავთარაძე და არუთინოვი. თქვენ მხოლოდ მაშინ მიხვდებით ამ ტელეგრამის შინაარსს, როცა მოგახსენებთ, რომ ეს ბატონი არუთინოვი ბორჯომის მამულის შემკვეთელი ბრძანდება, მას ერთობ ბევრი მასალა მიაქვს ჩვენგან ახლა, ამ წუთშიც გვაქვს მისი „ზაკაზი“ სამ სამ მანეთათ ვერშოკი. მაგრამ, როცა გაუგიათ, რომ რესპუბლიკა განსაჭირშია ქართველი და სომეხი კაპიტალისტები შეერთებულან და ნახევარ ფასს გვაძლევენ საქონელში.

საინტერესოა ვიცოდეთ, ჩვენ რომ ღმერთი გაგვწყრომოდა და გლეხებისა და მუშების ძალდატანებით ეს „სდელკა“ მოგვეხდინა, ნაციონალ დემოკრატები აქ შეკითხვას შემოიტანენ? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არა, რადგანაც თუ ხალხის ხელიდან გავარდნილი ლუკმა მათ ჯამში ჩავარდებოდა, ისინი ამას, რა თქმა უნდა არ გაამხელენ.

ბ. ინტერპელიანტმა თქვენ აქ მოგახსენათ პრობკის გაყიდვის საქმე. მოხარული ვარ, რომ მე მან ეს საქმე მომაგონა. თქვენ აქ ცხადათ დაინახავთ, რომ ამ საქართველოს მხსნელ კაპიტალისტებს აგენტებიც კი ჰყავთ ბორჯომში, რომ იქაური მასალის გაყიდვაში ხელი შეგვიშალონ, სხვა ყიდვის მსურველები ჩამოგვაშორონ და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაგვაგდონ და ქვეყნის დიდება ნაფოტის ფასათ ხელში ჩაიგდონ. აქ ინტერპელიანტი ლაპარაკობდა პრობკის შესახებაც. იქაურმა კომისიამ დაადგინა გაეყიდოს პრობკა თითო 20 კაპეიკათ, ათასი 200 მანეთად. ამას ყიდულობდა იქ ერთი ვაჭარი. (ასახელებს ვაჭარს). ამ დროს გამოჩნდა ეროვნული საბჭოს ტეხნიკური კომისიის მიერ გაგზავნილი ინჟენერი, რომელიც უმტკიცებდა იმ ვაჭარს, რომ რ. დათეშიძისაგან პრობკის ყიდვა შეიძლება უფრო იაფად, ათასი პრობკა 70 მან., მაგრამ გამოირკვა, რომ დათეშიძეს სულ არ ჰქონია პრობკა. მე მაშინ მინდოდა ის ინჟენერი დამეჭირა, მაგრამ სადღაც გაიპარა. რაში ვართ აქ დამნაშავე? ნუ თუ იმაში, რომ მეტი მოგება ვანახეთ ხაზინას?

მე მრწამს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მომავალი; მშრომელი ხალხის შექმნილი სახელმწიფო უეჭველია ლომი იქნება. მაგრამ ეს ლომი ჯერ ლეკვია. და ქართველი კაპიტალისტები კი, ეს, ამხ. ირ. წერეთლის მოსწრებული სიტყვით რომ ვსთქვათ, ნაც.-დემოკრატები ახლად დაბადებული ალკიდ-ადები პატარა ტურებსა და თოცხვერებსავით მისჩერებიან, აბა როდის შეეშლება ფეხი, როდის წაფორხილდება, რომ დაესიონ და რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოსწოვონ.

აქ ბ. ვეშაპელმა რევოლიუციონური კანონი დაგვიწუნა, ბორჯომის მამულის კონფისკაცია ცოდვათ ჩაგვითვალა, დიდი მთავარი შეეცოდა, რადგანაც მისის თქმით, ეს მამული ხალხს კი არ უნდა გადასცემოდა, არამედ ძველ პატრონებს, თავადიშვილებს უნდა ქონოდეთ.

მე ამაზე აქ არას ვიტყვი, ისეც სიტყვა გამიგრძელდა და ამ თემაზე ლაპარაკს სხვა ორატორებს დავუთმობ.

ა. სიგუა.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

23 აგვისტო.

**მოსკოვი.** ბერლინში იოფეს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა: 1) სხვა საბუთებს შორის, რომლებიც აღმოაჩნდა ფრანგ ტყვეებს არის ერთი საბუთი, სადაც სამარაში მყოფი საფრანგეთის ელჩი სწერს, რომ დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტს არავითარი სალარი არ აქვს და საჭიროა საფრანგეთის კაპიტალის დახმარება 100 მილიონი მანეთით. თანაც დასძენს, რომ ეს ფული მიეცემა არა სოციალისტურ მთავრობასო. ის აუცილებელ საჭიროთ სთვლის შექმნილ იქნას ფრონტი არხანგელსკ სამარა ვლადივოსტოკით. სჩივის, რომ სამარის კომიტეტს არავითარი დისციპლინა არ გააჩნია და ჩეხ სლოვაკები რომ არ იყონ, ეს მთავრობა ერთ კვირასაც ვერ იარსებებდაო. 2) საგარეო საქმეთა კომისარმა ენერგიული პროტესტი განუცხადა გერმანიის ელჩს იმის გამო, რომ გერმანიის მოკავშირემ ოსმალეთმა შეტევა დაიწყო ბაქოზე, რაიც ეწინააღმდეგება გერმანიის და ოსმალეთის დაპირებასო. ივლისის დასაწყისში ოსმალთა ჯარები კიურდამირში იმყოფებოდა. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა ჯარებმა ოსმალთა ჯარებს გეოკჩაისკენ დაახევია. 22 ივლის ავადმყოფობის გაჩენის და უწყლობის გამო საბჭოთა ჯარებმა ალიათისაკენ დაიხია. 28 ივლისს ოსმალებმა წაიწიეს ბალაჯარამდე. აუარებელმა ლტოლვილებმა მოიყარა თავი ბაქოში. მცხოვრებთ საერთო ხოცვაჟლეტის ეშინოდათ, უკეთუ ოსმალები ქალაქს დაიკავებდენ 30 ივლისს ოსმალთა სარდალმა შეფკეტ-ფაშამ წერილი გაგზავნა ბაქოში და მოითხოვდა ქალაქის ჩაბარებას, 31 ივლისს ოსმალებმა დაიკავეს შიხოვის და ბიბი-ეიბათის მაღლობები. 4 აგვისტოს არტილერიის შემწეობით ოსმალებს დაახევინეს საბჭოს ჯარებმა, მაგრამ კატასტროფა მაინც მოსალოდნელია, უკეთუ არ იქნა მოშორებული ოსმალთა ჯარები.

**მოსკოვი.** მოსკოვში აღმოაჩინეს შეთქმულება საბჭოს მთავრობის წინააღმდეგ. დაპატიმრებულია მთავრები, უმთავრესად აფიცრები, რომელთაგან 6 კაცი დახვრიტეს სარატოვში დახვრიტეს ორი ჩეხი აფიცერი, რომელთაც დაუმტკიცდათ კავშირი მოსკოვის შეთქმულობასთან.

**ვენა.** რეიტერის ცნობით პეტროგრადის ბრიტანეთის საელჩოს მართველი ლინდლეი დაინიშნა ჩრდილოეთ რუსეთის მთავარ კომისრად.

**ვაშინგტონი.** ამერიკის წყლებში გერმანიის წყალქვეშ მავალი ნავების გაჩენის შემდეგ დასაზღვევმა პრემიამ იმატა.

**როტერდამი.** კანადის მთავრობის ცნობით 1 აგვისტომდე დაკარგულა ომში 145 ათასი კაცი.

**ბერნი.** საფრანგეთის პრესა წინააღმდეგია, რომ რუსეთში აღდგენილ იქნას აღმოსავლეთის ფრონტი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტზე ბრძოლაა.

**პარიზი.** მატცის და უაზის შუა საარტილერიო სროლაა. ფრანგთა ჯარები გადავიდნენ [illegible] ...ენს შუა ფრანგები [illegible] წინ [illegible] სხვა [illegible]

**ბერლინი.** ბეილეილის ჩრდილო-დასავლეთით და ლისის ორივე ნაპირად ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. წამოვიყვანეთ ტყვეები. ინგლისელები გუშინ განაგრძობდენ ანკრის ჩრდილოეთით იერიშებს. მტერმა ვერ შესძლო ჩვენი ფრონტის გარღვევა. მთელი დღის განმავლობაში მტერს იერიშები მოჰქონდა პიუზიე-ბომონტ-გამელის მიმართულებით. მტერი ყველგან მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ალბერტომის და სომმის შუა მტერი იერიშით მოვიდა და შემოიჭრა ჩვენს ხაზში, მაგრამ ჩვენი ჯარების კონტრ-იერიშით გავდევნეთ. ბრაინის ჩრდილოეთით მტრის კავალერია მოვიდა იერიშით, ეს რაზმი ჩვენ სავსებით ამოვწყვიტეთ. სომმას და უაზის შუა დღე შედარებით მშვიდობიანათ ჩატარდა. ავრის სამხრეთით ფრანგთა იერიშები მოვიგერიეთ. ვინაიდან ჩვენი პოზიციები უაზიდან გადავიტანეთ, 22 აგვისტოს ღამით ჯარები ელეტის აქეთ გადმოვიყვანეთ. ენსა და ელეტს შუა მტრის იერიშები უნაყოფო იყო. ბაზოხის და ფისმამის შუა მოვიგერიეთ მტრის იერიშები.

# გორის სარევოლიუციო ტრიბუნალის

## პასუხი ცილისმწამებლებს.

გაზ. „საქართველოს“ 11 აგვისტოს ნომერში ეროვნულ საბჭოს 9 აგვისტოს სხდომის ანგარიშში მოყვანილია სხვათა შორის, სიტყვა ბ. რ. გაბაშვილისა, რომელმაც გორის სარევოლიუციო ტრიბუნალს ცილი დასწამა. ბ. გაბაშვილი თავისებურათ სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით; ჩვენ იძულებული ვართ ამ გარემოებას ანგარიში გავუწიოთ, მაგრამ საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა ზნეობრივ ავლადიდების ბრძანდება ბ. რევაზ გაბაშვილი და ის პარტია, რომლის სახელით ის გამობძანდა ეროვნულ საბჭოში და გორის სარევოლიუციო ტრიბუნალის წინააღმდეგ გამოგონილ საბუთებით გაილაშქრა. განვიხილოთ გაბაშვილის ბრალდებები მუხლობრივ.

მუხ. 1. გაბაშვილი ამბობს, რომ „გორის სარევოლიუციო ტრიბუნალი აღიარებულია კანონიერ დაწესებულებათ, სასამართლოს შეადგენენ ორი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთი მასწავლებელიო. ესეთი შემადგენლობის სასამართლო სწყვეტს ისეთ საქმეებს, როგორიც არის სახელმწიფო ღალატი და გამოაქვთ სიკვდილით დასჯის განაჩენიო“.

აქ მართალია ის, რომ გორის სარევოლიუციო ტრიბუნალი კანონიერი დაწესებულებაა. იგი რევოლიუციის პირმშო შვილია და რევოლიუციას ემსახუ-

# ერთი კვირა შავი ზღვის პირათ

### ათონი.

ათონის სტუმრები ჩვენ უნებლიეთ გავხდით. პატარა გემს „რუსთაველს“, რომელზედაც ჩვენ შეგვხვდა პირველი მოგზაურობა, ბენზინი შემოაკლდა. უახლოესი სადგური ახალი ათონი იყო და ჩვენც სწორეთ იმას მივადექით.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ათონის მდებარეობა. საუცხოვო, მწვანით შემოსილი მთები თითქო პირდაპირ ლურჯი ზღვის გულიდან არის ამოსული, უზარმაზარი შენობები მონასტრისა და ხელოვნურათ დამუშავებული ზეთის ხილის ბაღები კიდევ უფრო ალამაზებენ ამ მშვენიერ სანახაობას.

ძველ „ბედნიერ“ დროსთან შედარებით, როცა ათონი სავსე იყო მლოცველებით და „ღვთის მშობლის ცრემლებს“ აუარებელი მუშტარი ჰყავდა, ახლა მონასტერს მართლაც რომ უდაბნოს შეხედულება აქვს. გარეშე აქ მხოლოდ აფხაზთა რაზმის ასეულია, და რამოდენიმე ხილით მოვაჭრე მეგრელი. დანარჩენ ბინადართ მხოლოდ რიჟა და ჩასუქებულ ჩაკურატებული რუსი ბერები შეადგენენ. სალოცავად ახლანდელ დროში ათონისკენ წამოსვლას ბევრი ვერავინ გაბედავს.

უნუგეშო მდგომარეობაშია მონასტრის მეურნეობაც. ბაღებს მოვლა აკლია და მორჩილთა ენერგიას უხალისოა. მშვენიერი გედები, რომელნიც ამაყად დასცურავდენ ხელოვნურად ამ მიზნისთვის მოწყობილ ტბაში, აწ აღარსად მოსჩანს. როგორც ამბობენ, ისინი ბალშევიკებს წაუყვანიათ ტყვეთ. ერთი სიტყვით, ათონი ბევრათ აღარ წააგავს ძველ დროინდელს, იმზომ დიდი გავლენა მოუხდენია მასზე ომისა და რევოლიუციის წლებს.

ჩვენ დიდი პატივი გვცეს ბერებმა და საშუალებაც მოგვცეს გზა განგვეგრძო.

### გაგრა.

გაგრა პირდაპირ მხატვრულსა და უმშვენიერეს კუთხეს წარმოადგენს შავი ზღვის ნაპირზე. შედარებით მშრალი ჰავა, შეზავებული მთისა და ზღვის ჰაერი ამ სიმშვენიერეს კიდევ უფრო ხელს უწყობს და ავსებს. ზღვაც განსაკუთრებით ლამაზი, ანკარა და მიმზიდველი სანახაობისა გაგრაში. ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები ბუმბერაზ ალვის ხეებით შებურვილი, მედიდურათ გამოიყურება ზღვის პირიდან. განსაკუთრებით მომხიბლავია გაგრის ბაღი. რა ძვირფასი მცენარე გინდათ, აქ არ იყოს. თქვენ აქ შეხვდებით იშვიათ ძირებს ცხელი ქვეყნის მცენარეებისას, რომელნიც შესამჩნევად შეჰგუებიან ჩვენს ჰავას და ფართედ გადაუშლიათ ლამაზი ტოტები. როგორც გადმოგვცეს, ეს ბაღი გაშენებულია აკაკი ხოშტარიას მიერ.

არის ორი გაგრა: ახალი და ძველი. ახალი გაგრა პატარა ქალაქს წარმოადგენს და მდებარეობს ძველი გაგრიდან სამხრეთით 6—7 ვერსის მანძილზე. ძველი გაგრი უმთავრესად საგარაკო სადგურისაგან შესდგება. ზემორე ამისა მე ძველი გაგრის შესახებ მოგახსენებდით. საგარაკო სადგური დაარსებულია პრინც ოლდენბურგის მიერ. სადგურსა აქვს 14000 დესეტინა მიწა და მრავალგვარი ტეხნიკური მოწყობილებანი. აგებულია რამოდენიმე მშვენიერი, ევროპიულად მოწყობილი სასტუმრო, სადაც მოაგარაკენი ჰპოვებენ სრულს თავისუფლებას და კმაყოფილებას. გარდა სასტუმროებისა, აგარაკს აქვს თავისი ელექტრონის სადგური, საიდანაც სინათლე ეძლევა როგორც აგარაკის დაწესებულებათ, აგრეთვე ქ. ახალ გაგრასაც. მოწყობილია მშვენიერი წყალსადენი, ჩინებული საჩრდილო და ზღვის პირის საბანაო. სადგურს აქვს საწყობი, რომელშიაც აუარებელი სიმდიდრეა დაცული.

მიწად-მოქმედების მინისტრს, რომლის განკარგულებაშიაც გადმოვიდა აღნიშნული საგარაკო სადგური, უკვე გაუგზავნა გაგრაში თავისი რწმუნებული ივ. ხელაძე, რომელმაც უნდა ჩაიბაროს ქონება სადგურისა. ბ-ნი მინისტრის მიერ მოწვეულ თათბირზე გამოირკვა, რომ სადგური დღეს დღეობით ვერ ფარავს ხარჯებს. მიზეზი ამისი ბევრი დასახელების, უმთავრესათ კი დღევანდელი არანორმალური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ერთის მხრით აფრთხობს მოაგარაკეთ, ხოლო მეორეს მხრით აათკეცებს ხარჯებს. დღეს დღეობით საგარაკო სადგურში თავმოყრილია ნაწილი რუსეთის არისტოკრატიისა, რომელიც ემალება „ბალშევიზმს“ და რომელსაც ყველაფერი შერჩენია ძველი ჩვეული ჩვეულებიდან, გარდა მხოლოდ ქონებისა. ეს პატივცემულნი პირნი მხოლოდ მოითხოვენ და ხარჯს გადახდა თუ ესაჭიროება, ამაზე ცოტა ნაკლებ იწუხებენ თავს. ამის გამო თითქმის ყველა მათგანს კარგა მოზრდილი ვალი აწევს სადგურისა და გადამხდელი კი არავინ სჩანს. გარდა ამისა სადგურის დეფიციტს ხელს უწყობს ზედმეტი შეუფერებელი ხარჯები, ანუ ვაჭრულათ რომ მოგახსენოთ, ერთგვარი უყაირათობა. თათბირზედვე გამოირკვა, რომ თუ კი სადგურის ბიუჯეტში საჭირო შემცირება მოხდება და საერთოდ სამეურნეო ნაწილი წესრიგში ჩადგება, აგარაკი დღევანდელ პირობებშიაც არა თუ დაჰფარავს ხარჯებს, პირიქით, შემოსავალსაც მისცემს ჩვენი რესპუბლიკის ხაზინას.

ინიციატორი გაგრის საგარაკო სადგურის დაარსებისა გახლავთ პრინცი ოლდენბურგისა. ამ პიროვნების ახირებულ ხასიათისა და ეგრეთ წოდებულ „სამოდუროობის“ შესახებ გაგრაში ბავშვიც კი ლაპარაკობს. ქალაქის თავი ბ-ნი ბეჟანოვი ხომ დაუშრეტელი წყარო პრინცის ახირებულ მოქმედებათა მოთხრობებისა. პრინცი გაგრის სრული თვითმპყრობელი იყო, რომლის ყოველგვარი უთავბოლო და ხშირათ უაზრო კაპრიზები უთუოდ უნდა დაკმაყოფილებულიყო. როგორ და რამდენს ხარჯავდა პრინცი სადგურის უსისტემო მეურნეობაზე, ეგ ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ხარჯავდა დიდძალ ფულს, ვინაიდან რუსეთის ხაზინა მის სამსახურად მზად იყო.

გაგრის მახლობლად არსებობს მშვენიერი ხერხის ქარხანა, მინისტრმა ნ. ხომერიკმა გულდასმით დაათვალიერა ის და აღუთქვა დახმარება წარმოების გაფართოების საქმეში. იქვე მდებარეობს პრინცის საკუთარი მამული „ოტრადნოე“. მინისტრმა ისიც ინახულა და გაეცნო საქმის ვითარებას. დავათვალიერეთ აგრეთვე დიდი მთავრის მამული „კოლხიდა“ რომელიც გაშენებულია შავი ზღვის ნაპირზე. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ძვირფასი მამულები ერთობ მოუვლელია, რასაკვირველია, თანამედროვე უჩვეულო პირობების მიზეზით.

### სოჩის ნაწილი.

იშვიათია ისეთი ლამაზი და თანაც მდიდარი კუთხე შავი ზღვის ნაპირზე, როგორსაც სოჩის ნაწილი წარმოადგენს. მთელი რიგი ზღვის პირი დაბა ქალაქებისა ერთი მეორეზე უფრო მშვენიერი, ძვირფასი და ნაყოფიერია: პილენკოვო, ადლერი, ხოსტა, სოჩი, დაგომისი და სხ. დღესაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან, თუმცა მათი ბრწყინვალე მომავალი ჯერ კიდევ წინ არის. ადლერიდან ჩრდილოეთით, დაახლოვებით 60 ვერსის მანძილზე კავკასიონის მთებში არის საუცხოვო საგარაკო ადგილი „კრასნაია პოლიანა“, სადაც გაყვანილია მშვენიერი საეტლო გზა.

მთელი სივრცე სოჩის ნაწილისა დაახლოვებით 430000 დესიატინას უდრის. აქედან ტყე შეადგენს 252000 დეს., საძოვარი ადგილები 38000 დეს. გადმოსახლებულთა საკუთრება 47000 დეს; კერძო მესაკუთრეთა 46000 დეს. ადგილობრივ მკვიდრთა 23000 დეს. და კულტურული ნაჭრები 8000 დესეტინას. ამგვარათ ნახევარზე მეტი მთელი ნაწილის სივრცისა ტყეს უჭირავს და ტყე კი აქ მშვენიერია. ჯერ გზის ნაპირებზედაც გხვდებათ შესანიშნავი მუხის ტყეები, ხოლო მთის კალთებზე ღირსება მათი გაცილებით უკეთესია. ასეთი მდიდარი და მშვენიერი მხარე ჯერ-ჯერობით თითქმის დაუსახლებელია. თვითმპყრობელი მთავრობა უხვად ურიგებდა თავის ბობოლა ბურჟუებს ვრცელსა და ნაყოფიერ ადგილებს, რომლებსაც ისინი შემდეგ იჯარით აძლევდენ შემოხიზნულ უცხოელებს. მაგალითისათვის დავასახელებ რამოდენიმე მემამულეს. ქ. პილენკოვოს გვერდით სძევს კავალევსკის მამული, სივრცით 2808 დესიატინა. მემამულე ამ მიწას აძლევს საიჯაროთ ოსმალთა ქვეშევრდომ სომხებს, რომელნიც მას თამბაქოს პლანტაციებათ ამუშავებენ. იქვე მდებარეობს მოისეევის მამული, სივრცით 147 დესიატინა და მამული დე-შმიდელ კოვალსკასა 500 დესიატინა. ჩვენი რესპუბლიკის კანონით ყველა დასახელებული და მრავალი ამგვარი მამული უნდა ჩამოერთვას დღევანდელ მესაკუთრეთ, რაიც ეჭვს გარეშეა შეჰქმნის საკმაო ფონდის უმიწაწყლო გლეხთა დასასახლებათ.

### ქ. სოჩი.

სოჩი სულ ახალი დროის ქალაქია. რამოდენიმე წლის წინეთ მას ქალაქობა არც კი ეთქმოდა, მაგრამ მშვენიერი ჰავისა და მდიდარი ბუნების გამო ის თითქმის საათობით იზრდებოდა და ვითარდება. ერთად ერთი ნაკლი სოჩისა ეგ ნავთსადგურის უქონლობაა. სხვა მხრივ მას თამამად შეუძლია მეტოქეობა დანარჩენ ზღვის პირის ქალაქებთან. ქალაქის განაპირას, ზღვის პირად გაშენებულია მთელი რიგი მშვენიერი სასტუმროებისა სახელწოდებით: „კავკასიის რივიერა“. ბალშევიკებს ეს სასტუმრო ნაციონალურ საკუთრებათ გამოუცხადებიათ და ჩვენი ჯარის მისვლის შემდეგაც ის ნაციონალურ საკუთრებათ ითვლება. ქალაქის გარე უბნები მოფენილია თვალწარმტაცი აგარაკებით და შესანიშნავი ბაღებით. ბუნება ხელს უწყობს ყოველგვარ მცენარეულობის ლაღ ზრდას და ახლო მომავალში მთელი ეს ნაპირი შავი ზღვისა ერთი გაბმული ბაღი იქნება. მოწყობილობის მხრივ ქ. სოჩს ჯერ-ჯერობით ბევრი რამ აკლია, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ მისი ქალაქობა ახალი დროისაა და იმედია ამ მხრივაც სასურველად განავითარებს თავის საქმეს.

### მაცესტა.

შვიდი-რვა ვერსის მანძილზე ქ. სოჩიდან სამხრეთით, პატარა ლამაზ ხეობაში იმყოფება მაცესტის გოგირდის აბანო. მდინარე მაცესტას პირათ დაბალი, მოთეთრო გორაკის ნაპრალიდან გამოდის კარგა მოზრდილი წყარო, რომლის გარშემო ჰაერი პირდაპირ გაჟღენთილია გოგირდის სუნით. აი ეს წყარო არის კიდევ უცნობი, მაგრამ მომავალში მსოფლიო სახელის მომხვეჭი მაცესტის აბანო. რუსეთის წარჩინებული ექიმები, რომელთაც საშუალება მიეცათ ამ წყაროების სამკურნალო თვისებათა გამოკვლევისა. ერთხმად ადასტურებენ მაცესტის აბანოების განსაკუთრებულ ღირსებებს და მათ ბრწყინვალე მომავალს საეჭვოთ აღარ სთვლიან. „სამკურნალო მოქმედება მაცესტის აბანოებისა იმდენათვე მრავალფეროვანია, —ამბობს ექიმი პრავდინი თავისს ბროშიურაში, —რამდენათაც ფუნქციები ადამიანის ორგანიზმისა“-ო. მე არ გამოუდგები აქ იმ სნეულებათა ჩამოთვლას, რომლებზედაც მკურნავ გავლენას ახდენს მაცესტას აბანოები, მათი რიცხვი ერთობ მრავალია; მე მხოლოდ აღვნიშნავ ამ წყაროების ერთ განსაკუთრებულ და განსხვავებულ თვისებას. საკმარისია ჩასდოთ წყალში რომელიმე ნაწილი ორგანიზმისა, რომ თითქმის მყისვე მას ეჩვენება სიწითლე. წყლით დაფარულ ნაწილში ვითარდება სისხლის მოძრაობა, რაიც იწვევს ამ უცაბედ სიწითლეს. ეგ სიწითლე იქვე სწყდება, სადაც თავდება წყლის ზედაპირი. ადგილი, რომელსაც წყალი არ ხვდება ჩვეულებრივი ფერისაა. წყაროების ამ განსაკუთრებულ თვისებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ ექიმები.

აბანოები მის ღირსების შესაფერად ვერ არის მოწყობილი, მაგრამ შედარებით ჩვენს სამკურნალო წყლებთან (მაგ. წყალტუბო) მაცესტა მაინც რიგიანათ არის მოწყობილი. წყაროებთან აგებულია ვანნების შენობა, კარგა მოზრდილი და მოხერხებული სასტუმრო. ამ საერთო სიძვირის დროსაც აბანოთი სარგებლობა ხელმისაწვდომია. იქვეა გაშენებული უბრალო ფიცრულის სახლები ღარიბთათვის, თავისი სასადილოთი.

მაცესტიდან დაბლა ორიოდ ვერსის მაძილზე ზღვის პირათ აგებულია ახალი დიდი შენობა ვანებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით. აქვე გამოყვანილია ზღვის წყალიც და მსურველთ ერთ და იმავე დროს შეეძლებათ ორივე სამკურნალო აბანოთი სარგებლობა.

### სოჩიდან ტუაფსემდე.

საზოგადოთ ჩვენი მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქამდე ზღვით სწარმოებდა და არ შეიძლება ითქვას სავსებით მოხერხებული და უხიფათო ყოფილიყოს იგი. სამაგიეროთ სოჩიდან ტუაფსემდე რკინის გზით ვიმგზავრეთ. ეს ნაწილი შავი ზღვის პირის რკინის გზისა თითქმის დამთავრებულია და მასზე მოძრაობა (რასაკვირველია არა წესიერი) ნახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...რთალია ისიც, რომ წევრებში ...ნტელიგენტებია. (მხოლოდ ფერ-...ძა გვყავს შემადგენლობაში, არის ...ი). მაგრამ სიცრუეა, თითქოს შემადგენლობის სასამართლოს ...ვის გამოეტანოს დღიდან თავის ...ბისა სიკვდილით დასჯის განაჩე-...ნაციონალ-დემოკრატების გორელ ...ბის ან თვით რევაზ გაბაშვილის ...ლი ჭორია, რომელიც მხოლოდ ...მომთქმელს და გამავრცელებელს ...ს საზოგადოების თვალში. გორის ...ლიუციო ტრიბუნალი აცხადებს, ...ს დღემდე, 20 აგვისტომდე, სიკვ-... დასჯის განაჩენი არავისთვის ...ოუტანია.

... რევაზ გაბაშვილის სიტყვაში ...ლობთ: „ერთ ერთ პროკურორს ...ბუნალის თავმჯდომარემ ექიმმა ...ძემ მოახსენა, რომ მისმა სასამარ-... გამოიტანა 5 სიკვდილით დასჯის ...ნი და ერთი შეცდომითო“! ...ის ტრიბუნალი აცხადებს, რომ ...ვმჯდომარეს ექიმ მიხეილ კობე-... არავითარ პროკურორისთვის ...არი მოხსენება არ გაუკეთებია. ...რამდენიმე თვის წინეთ,—გორში ...და განსაკუთრებული „სამხედრო ... სასამართლო“. მხოლოდ ასეთ ...რთლოს ჰქონდა უფლება სიკვდი-...ანაჩენი გამოეტანა დამნაშავეთა-... სამხედრო საველე სასამართლომ ...ოდ 2 საქმე გაარჩია: ერთი იყო ... კომისარის ვასო მამისაშვილის ...ლების საქმე და მეორე საქმე ძმე-...ზარიშვილებისა, რომელთაც სხვებ-...რთად ბრალდებოდათ რამდენიმე ... მოკვლა და ძარცვა-გლეჯა. პირ-...შემთხვევაში სიკვდილით დაისაჯ-...რნი: კოტოლაშვილი და ამანათიძე, ... შემთხვევაში უნდა დასჯილი-... სასამართლოს დადგენილებით, ... მაგრამ დაისაჯა მხოლოდ ერთი, ... კი ტყვიით დაჭრილი დაეცა და ...ე გაიპარა, იქნებ სწორედ ის, ...ლსაც, როგორც ეს გაბაშვილის ...დებიდან სჩანს, იუსტიციის მინის-...ათვის თხოვნა მიუცია! რა შუაშია ...რევოლიუციო ტრიბუნალი? მისი ... სიმართლეს მოკლებულია.

... 3. გაბაშვილი აცხადებს: „არც ... დამწყვდეულმა გორის და სურა-...ციხეებში არ იცის, თუ რატომ არის ...ს წყვდეული. სხედან თვეობით და ...ბიან გარეშე პირთ, გაგვიგეთ, ...ვის ვართ აქ დამწყვდეულიო“. ...რ ერთი, სურამში არ არის ციხე ...მასადამე, არც ტუსაღები არიან. ...შეეხება გორს აქ ციხეში ტრიბუ-... მთელის შემადგენლობით რამდე ...ერ იყო, დაათვალიერა ტუსაღები ...არწმუნდა, რომ ტუსაღთ თან აქვთ ...თები, სადაც უწერიათ საჭირო ..., რომელიც მათ საქმეს შეეხება. ...ლებმა იციან, ვის აქვს მათი საქმე ...ცემული.

რასაკვირველია, ვისი საქმეც გაირჩა, იმათაც იციან, თუ რა სასჯელი გადაეწყვიტათ ტრიბუნალისგან, რადგან საქმე ქართულ ენაზე სწარმოებს.

მ. 4. რევაზ გაბაშვილი ბრძანებს: „გორის ტრიბუნალში გაირჩა ვეზირიშვილის მკვლელის საქმე. დამნაშავეს გამოუტანეს შემდეგი განაჩენი: за участie къ убiйству смертная казнь, за не донесенie 3000 рублей; уплата штрафа освобождаетъ отъ смертной казни“.

გორის რევოლიუციონური ტრიბუნალი საჯაროთ აცხადებს, რომ მას სოფ. ოსიაურის მცხოვრებ, ყოფილ მომრიგებელ შუამავალის ვეზირიშვილის მკვლელების საქმე არ გაურჩევია.

თუ გაბაშვილს მხედველობაში აქვს საქმე გორის ტრიბუნალის № 43 „იოსებ მეტივიშვილისა, იაკობ ბერიძისა და სხვათა, რომელთაც ბრალდებათ ოსიაურში ვეზირიშვილის სახლზე თავდასხმა ელისაბედ ფალავანდიშვილის (ვეზირიშვილის ქალის) და სხვათა მოკვლა“... ამ შემთხვევაში გაბაშვილს, ვიდრე ის ეროვნულ საბჭოს სხდომაზე გამოვიდოდა, უნდა სცოდნოდა ამ საქმის გამო გორის ტრიბუნალის განაჩენი. აი მთელი განაჩენი სიტყვა-სიტყვით: განკარგულებითა რევოლიუციონურ მთავრობისა.

1918 წელსა თიბათვის 11 დღესა გორის რევ. ტრიბუნალმა განიხილა რა საქმე ს. ოსიაურის მცხოვრებ იოსებ ივანეს ძე ტუსიაშვილისა, იაკობ (იგივე კოფა) სამსონის ძე ბერიძისა, ზაქარია ისაიას ძე მეტივიშვილისა, მიხეილ ედიშერის ძე დაბრუნდაშვილისა, ვასილ გაბრიელის ძე დაბრუნდაშვილისა, ვასილ სიმონის ძე ბუზრიკიძისა, სვიმონ ბესარიონის ძე ბერიძისა, ილია ბესარიონის ძე ბერიძისა, ივანე გარსევანის ძე მელიაშვილისა, პეტრე გიორგის ძე მაისურაძისა, ნიკოლოზ ივანეს ძე მალალაძისა, ავალო ზაქარიას ძე ტუსიაშვილისა, ნიკოლოზ ზაქარიას ძე კორკოტაძისა, ს. ხცისის მცხოვრებ დათიკო სოლომონის ძე ჯიქურაშვილისა, რომელთაც ბრალად ედებათ წინასწარ განზრახვით ბრბოს შედგენა, ცხრა მარტს ნაშუადღევს ვეზიროვის სახლის გაძარცვა და გატაცება ვეზიროვის ოჯახურ ნივთებისა, დახოცვა ელისაბედ, არჩილ და ნინა ფალავანდიშვილებისა,—სცნო ბრალდება იოსებ ტუსიაშვილის, იაკობ ბერიძის, მიხეილ დაბრუნდაშვილის, ვასილ დაბრუნდაშვილის, ზაქარია მეტივიშვილის, ნიკოლოზ კორკოტიძის და დავით ჯიქურაშვილის მიმართ დამტკიცებულათ და ბრალდებულნი დამნაშავეთ, დაადგინა: მოქალაქეთ: იოსებ ივანეს ძე ტუსიაშვილს, იაკობ (კოფა) სამსონის ძე ბერიძეს—ავხადოთ ყოველივე მოქალაქობრივი უფლება და მიესაჯოთ უვადო კატორღა. მოქალაქეთ მიხეილ ედიშერის ძე დაბრუნდაშვილს და ვასილ გაბრიელის ძე დაბრუნდაშვილს აეხადოთ ყოველივე მოქალაქობრივი უფლება და მიესაჯოთ ათ-ათი წლით კატორღა. მოქალაქეთ: ზაქარია ისაის ძე მეტივიშვილს, დათიკო სოლომონის ძე ჯიქურაშვილს და ნიკოლოზ ზაქარიას ძე კორკოტაძეს სამას-სამასი თუმანი ჯარიმა ანუ თითო წლით ციხე. რაც შეეხება ვასილ სიმონის ძე ბუზრიკიძეს, სიმონ ბესარიონის ძე ბერიძეს, ივანე გარსევანის ძე მელიაშვილს, პეტრე გიორგის ძე მაისურაძეს, ნიკოლოზ ივანეს ძე მალალძეს და ავალო ზაქარიას ძე ტუსიაშვილს, ამათ დაუმტკიცდა ძარცვა-გლეჯაში ვეზიროვის ნივთებისა, მონაწილეობა, ტრიბუნალმა დაადგინა: მიესაჯოთ ას-ასი თუმანი ჯარიმა ანუ ექვს-ექვსი თვით ციხე. მოქალაქენი ბესარიონ ბერიძე, ნინა ბერიძისა, პეპო ლაცაბიძე, ტრიბუნალმა იცნო უდანაშაულოთ და დაადგინა დაუყოვნებლივ იქმნენ განთავისუფლებულნი“.

ჩვენ განგებ ამოვწერეთ მთელი განაჩენი. ჩვენ გვინდოდა ეროვნულ საბჭოს წევრებისა და ფართე საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, რომ გორის ტრიბუნალს, ჯერ ერთი, გამოაქვს თავისი განაჩენები ქართულ ენაზე და, მეორეც, გამოაქვს განაჩენი, რომელიც მრავალ-მხრივ მის მიერ აწონილ დაწონილია, და არა ისეთი კარიკატურული განაჩენები, რომლებსაც ეროვნულ საბჭოს წევრი გორის ტრიბუნალს თავზე ახვევს.

გაბაშვილის განცხადებაზე ზოგიერთ უსირცხვილო მწერლებმა მთელი წერილებიააშენეს. ასეთია, მაგ., ყოვლად უაზრო წერილი ვინმე ლ. ჯაფარიძისა: „სიცოცხლის ნიხრი“. წერილი აგებულია გაბაშვილის ყალბ ცნობაზე, თითქოს გორის რევოლიუციონურ ტრიბუნალს ვისმესთვის როდისმე სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოეტანოს და შემდეგ ის ჯარიმით შეცვალოს.

ლ. ჯაფარიძე გვაბრალებს: „უდანაშაულოთ დასჯილი ბორჯომის სასურსათო მაღაზიის გამგე კიკვიძე არ გაანთავისუფლეს, ვიდრე მან სამი ათასი მანეთი ჯარიმა არ გადიხადაო“.

ვაცხადებთ, რომ კიკვიძის საქმე ჯერ გარჩეული არ არის! ის 26 მარიამობისთვესაა გორის ტრიბუნალში გასარჩევათ დანიშნული! კიკვიძე 3000 მანეთის თავდებშია განთავისუფლებული. ჯარიმა მისთვის არავის არ გადაუხდევინებია!

უკანასკნელი გამოგონილი ბრალდება ლ. ჯაფარიძისა შემდეგია: „ერთს ბრალდებულს ტრიბუნალმა შემდეგი განაჩენი გამოუტანა: „тюремное заключенie до окончанiя революцiи—და როდესაც ამ ბრალდებულის დამცველმა ვექილმა ამირალოვმა წერილობით მოითხოვა განმარტება, თუ როდის გათავდება ეს რევოლიუცია, ტრიბუნალმა დამცველს ასეთი კონტრ რევოლიუციონერობისთვის სიკვდილით დასჯა დაუპირა. ვექილი ამირალოვი გორიდან თფილისში გამოიქცა და ეხლა აქ ეძიებს სამართალს“.

ჭორია, ქუჩაში აკრეფილი ჭორი! გორის ტრიბუნალს არასოდეს არავისთვის ასეთი დადგენილება არ გამოუტანია.

ყველაფერი ეს ლ. ჯაფარიძის ავათმყოფ წარმოდგენის ნაყოფია, სხვა არაფერი.

ვექილი ამირალოვი საიდან გამოაძვრინეთ? მისთვის სიკვდილით დასჯა არავის დაუპირებია! იყო ის კაცი თავისთვის გორში და დრო-გამოშვებით იცავდა ბრალდებულთ ტრიბუნალში.

ვიცით, რომ ის, როგორც დამცველი, ხშირათ უკმაყოფილო იქნებოდა ტრიბუნალის დადგენილებებით, მაგრამ ეგ რა ტრიბუნალის ბრალია?

მართალია ის, რომ ის გადასახლებულ იქნა გორიდან. მაგრამ ეგ იმიტომ, რომ მას ბრალდება ტრიბუნალის სახელით შანტაჟისტობა ქ. სურამში.

ზარის რეკა გაგიგიათ, მაგრამ არ კი იცით, საიდან არის! მოზრდილ ადამიანისთვის, ბატონო ეროვნულ დემოკრატებო, სირცხვილია ბავშვური ჯოხის გაკეთება, ზედ შეჯდომა და ისეთი დინჯი სახის მიღება, თითქოს საქმეს ვაკეთებთო!

ვიდრე რამეს იტყოდეთ ან დასწერდეთ, წინასწარ შეამოწმეთ ის ცნობები, რომლებსაც მონა-მორჩილი აგენტები გაწვდიან.

მარტო ბოღმა და შური მოწინააღმდეგისადმი არ კმარა!

თუ თქვენს თავს არ სცემთ პატივს, პატივი ეცით ეროვნულ საბჭოს! პატივი ეცით იმ საზოგადოებას, რომელსაც თქვენ აშკარა ტყუილებით უმასპინძლდებით!

გორის რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე მ. კობერიძე.

---

...წელიწადია სწარმოებს. 75 ვერსის ...ლზე ოთხი გვირაბია გასავლელი-...ლთაგან უგრძესი მხოლოდ ვერსი ...იქნება. გზა თავით ბოლომდე მხა-...ულ მშვენიერებას წარმოადგენს: ...ს მხრივ გადაჭიმულია ლურჯი სი-... შავი ზღვისა, ხოლო მეორე მხრივ ...ნით შემოსილი მთები და ხუობები. ...არევკა პირველი დიდი სოფელია ამ ...ე, უმთავრესად ბერძნებით დასახ-...ული. აქა იქ დარჩენილა რამოდენიმე ...ელი ჩერქეზებისა, ნაშთი ამ კუთხის ... ბინადართა, რომელნიც აიძულა ...ს მთავრობამ ოსმალეთში გადახვე-...იყვნენ. ეს პირველი სოფელია ...ფსეს ნაწილისა, ისევე მდიდარი და ...ფიერი, როგორც დანარჩენი კუთ-... შავი ზღვის სანაპიროებისა. გზის ...ებზე გადაჭიმულია სხვადასხვა პირ-...მამულები, მათ შორის საუცხოვო ...ლი ყოფილ მეფისა და სხვ.

ქ. ტ უ ა ფ ს ე.

...უაფსე მშვენიერ სამრეწველო ქა-...ს წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყუ-...ღების ღირსია მისი საუცხოვო ნავთ-...გური. როგორც გადმოგვცეს, ეგ ერთ ...დეს სადგურთაგანია შავ ზღვაზე. ...არეობაც ერთობ ლამაზი აქვს ტუ-...ეს. პატარა სწორი სივრცე შემო-...გლულია მოხდენილი გორაკების ...ლით, რომელზედაც შეფენილია მოხ-...ილი შენობები. ტუაფსე ჩვენი ჯა-...ის ბაზაა. დღეს დღეობით ჯარი ...ფსედან წინ წაწეულია ორმოციოდ ...ის მანძილზე ჩრდილოეთით. ქალაქს ...საგან თითქმის არავითარი ზიანი არ ...ვლია, ვინაიდან ტუაფსეს ბედი თვით ...ლაქში არ გადაწყვეტილა. ჩვენი ჯა-...ის მისვლის დროს იგი თითქმის ...ცლილი ყოფილა. ტუაფსეში თავდება ...ავირის რკინის გზა, რომელიც ჩრდი-... კავკასიიდან გადმოდის და იწყება ... ზღვის პირის გზა, რომელიც ზღვის ...ოლებით გამოივლის სოჩას, ადლერს, ...რას, გუდაუთს, სოხუმს, ოჩემჩირეს, ...დიდს და ახალ-სენაკში უერთდება ...ართველოს მთავარ ლიანდაგს. სამწუ-...როთ ეს გზა ჯერ დამთავრებული არ ...ის. ტუაფსეში დიდძალი ლიანდაგი ...ფილა დამზადებული ამ გზისათვის, ...რამ ბალშევიკებს მოუსწრიათ გა-...ნა.

ტუაფსეში არსებობს მშვენივრად მოწყობილი ქარხანა ბ-ნი ბარათაშვილისა. იგი ამ რამოდენიმე წლის წინათ დაუარსებია მის პატრონს ზარბაზნის ყუმბარათა დასამზადებლათ, მაგრამ დღეს შეცვლილ პირობათა მიხედვით ქარხანა დაუფასებელ სამსახურს უწევს ჩვენს საჭიროებას ქ. ტუაფსეში. მოგეხსენებათ, ნავთსადგურში დარჩა დაახლოვებით ოციოდ დიდი და პატარა გემი, რომელნიც საჭირო შეკეთების შემდეგ სავარგისნი იქმნებიან როგორც მგზავრთა გადასაყვანათ, აგრეთვე საქონლის გადასატან-გადმოსატანათ. ბარათაშვილის ქარხანა გაფაციცებით მუშაობს ამ საქმეზე და იმედია მალე რამოდენიმე სავარგის გემს მოგვცემს.

მინისტრმა აქ თათბირი გამართა სურსათის მოწოდების (განსაკუთრებით პურის) შესახებ. გამოირკვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის იმ რაიონში, სითაც დღეს ჩვენი ჯარი მიიწევს; დიდ ძალი პური ყოფილა დაგროვილი.

დასასრულ არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო ჩვენ ჯარისკაცთა სულიერი გარდაქმნა, დისციპლინის გაძლიერება და სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვის შეგნება. თუ არ ყველა ეს თვისებები და მასთან განსაცვიფრებელი სიმხნევე, ჩვენი ჯარი ერთობ მცირე რიცხოვანი, ვერ შესძლებდა ათჯერ უფრო ძლიერი მტრის შემუსვრას. მოგეხსენებათ, არ არის ალი უკვამლოთ და ოჯახი უმახინჯოთ. ჭიანჭველისა და ფრთის გამოსხმისა არ იყოს, ზოგიერთი ვაჟბატონი უკვე შეიპყრო სამხედრო „მანია გრონდიოზამ“ და „შტატსკებს“ ვერ ინელებს. ასეთი მახინჯი წევრი ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება და მათი ხსენებაც არ ღირდა თუ ზოგიერთ მათგანს უკვე ინციდენტები არ შეექმნათ. საერთოდ კი ჩვენი ჯარით და მათ ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობით თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ.

არტილერისტ იაშვილის სახელი აქ დიდათ პოპულიარულია.

ეშმაკი.

# ახალი ამბები

**შინაგან საქმეთა სამინისტროში.** 22 აგვისტოს მინისტრის ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი შემდეგ საკითხებზე: 1) ანარქიასთან ბრძოლა, 2) ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა მოკრება და 3) ადგილობრივ ადმინისტრაციის მოწყობა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს სამხედრო მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. საბახტარიშვილმა, სახალხო გვარდიის წარმომადგენლებმა, გუბერნიის კომისრებმა, და ზოგიერთმა წევრმა ეროვნულ საბჭოისამ. თათბირმა დაადგინა: 1) ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა დაუყოვნებლივ უნდა სისრულეში იქნას მოყვანილი, დეზერტირები და მათი შემნახველები სასტიკათ დაისჯებიან. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება გუბერნიის, სამაზრო და უმთავრესად კი სოფლის კომისარებს. 2) მიღებულ იქნას სასწრაფო ენერგიული ზომები საქართველოში წესრიგის დასამყარებლათ, რა მიზნითაც უნდა მოხდეს მობილიზაცია ყველა სამხედრო და სახალხო გვარდიელთა ძალებისა და გაიგზავნოს იმ ადგილებში, სადაც ადგილი აქვს ანარქიულ გამოსვლებს, პირველ რიგში ქუთაისის გუბერნიაში. გუბერნიის კომისრებს ევალებათ დაუყოვნებლივ დაატუსაღონ ყველა ის პირნი, რომელნიც თავიანთი მოქმედებით არღვევენ სახელმწიფო წესრიგს და ვნებენ რესპუბლიკის განმტკიცებას. ამათვე ევალებათ ორი კვირის ვადაში მოაწყონ ყველა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რისთვისაც მათ უნდა გაგზავნონ თავიანთი რწმუნებულები ყველა მაზრებში. მათვე წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გადასახადების და „ნედოიმკების“ ასაკრებად. თათბირმა ალიარა, რომ ანარქია საქართველოში თანდათან ისპობა, ზოგიერთ ადგილას სრული წესრიგი დამყარდა.

**ყალბი მოწმობა.** გორის წარმომადგენელმა განაცხადა სასოფლო კომისიაში, რომ საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარე ზერცალოვსა და იმავე კომიტეტში მომუშავე პუზანოვს ყალბი მოწმობა მიუციათ გიორგი ალ. ბაგრატიონ-დავითაშვილისათვის, რომ თანახმად საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის დადგენილებისა მას ნება ეძლევა მცხოვრებლებისაგან ღალა შეკრიბოს. ბატ. ბაგრატიონ-დავითაშვილმა თავის მხრივ მისწერა გორის კომისარს შეატყობინოს ხალხს, რომ მათ ნება-ყოფლობით გადაიხადონ ღალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძალით შეკრებს. ამის შესახებ სასოფლო კომისიამ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ასეთი ყალბი მოწმობის მიცემისათვის ზერცალოვი და პუზანოვი სამსახურიდან დაითხოვონ.

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ** სთხოვა ფინანსთა სამინისტროს, რათა ხოლერასთან საბრძოლველად გადადებული ფული დაუყონებლივ მისცენ ხაზინიდან ხოლერასთან მებრძოლ ორგანიზაციას.

**ბაკურიანიდან გენერალი მაყაშვილი**ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დვირში ყოველ დღე აჟარებელი ლტოლვილები მოდიან, რომლებსაც არა აქვთ საქართველოს მთავრობის ნებართვა. ისინი ძლიერ გაჭირვებას განიცდიან. თათრები უკან არ უშვებენ. გთხოვთ შეგვატყობინოთ, გავუშვათ თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ისინიო.

**დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა ა. ნ. მეზუროვი სპეკულიაციისათვის.

**აფხაზეთიდან ჩამოსული გვარდიელი** ამხ. ტარასი ჩანტლაძემ შემდეგი გადმოგვცა: სოფ. ბოქვაში ჩვენს რაზმს თავს დაესხა ოსმალეთის დესანტის ასკერები. მოგვიკლეს 10 და დაგვიჭრეს 12 კაცი. 15 აგვისტოს ბრძოლამ ღამის 1 საათიდან დილის 6 საათამდე გასტანა. თავდამსხმელთ ჩვენმა რაზმმა მოუკლა მათი ხელმძღვანელი როტმისტრი მარშანია. დაჭრილ-დახოცილები მოწინააღმდეგეს მხრით მრავალია.

**განჯიდან** იტყობინებიან: ნური-ფაშა ხელ-ახლა გაემგზავრა ბაქოს ფრონტზე. ოსმალეთის მთავრობა საიდუმლოთ ინახავს ბაქოში მომხდარ ამბების ცნობებს. კერძო ცნობებით ბაქოსთან განახლდა ბრძოლა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველ დღე მოჰყავთ განჯაში დაჭრილი ასკერები, ეს ცნობა არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. აქსტაფით გაატარეს ოსმალებმა 2 ეშელონი არტილერიით. ოსმალებს ბაქოზე შორს მსროლელი ზარბაზნები მიაქვთ, რომელიც მათ ყარსში დარჩათ.

**გიმნაზიების განაწილება ეროვნებათა შორის.** 1 და 2 გიმნაზიები ქართულ გიმნაზიებათ იქმნა გადაკეთებული, მე-3—სომხურად, მე-4—რუსულ-სომხურად. მე-5 გიმნაზიაში იქნება ორი განყოფილება ქართველებისათვის და არა ქართველებისათვის, მე-6 გიმნაზია იქნება რუსული.

**ერევნიდან ჩამოსულთა სიტყვით** ჯულფის მხრიდან დაჭრილი ასკერები ჩამოყავთ. ოსმალებმა წინადადება მისცეს გუმბრის მცხოვრებთ ცოლ-შვილი გაგზავნონ ქალაქიდან. ქალაქიდან ოსმალები დიდძალ სხვადასხვა საქონელს და ქონებას ეზიდებიან.

**საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის** გამართულ კურსების მსმენელნი სთხოვენ თფ. საშუალო და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების გამგეთ და მასწავლებელთ აუცილებლად მობრძანდნენ კადეტთა კორპუსში მასწავლებელთა საერთო კრებაზე კვირას, 25 მარ. 11 საათზე. საკითხები სკოლის მართვა-გამგეობა და ნაციონალიზაციის გატარება საშუალო სასწავლებლებში.

**შრომის მინისტრის ამხანაგი ერაძე** ხელმეორედ გაემგზავრა ტყიბულის მაღაროებში მომუშავეთა და მოიჯარადრეთა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

**სასოფლო კომისიამ დაადგინა:** ეცნობოს სამეგრელოში დანიშნულ პასუხისმგებელ პროპაგანდისტს აკაკი ფინჩხაიას, რომ გაანაწილოს მთელ სამეგრელოსათვის ის ძალები, რომლებიც მის განკარგულებაშია. გაიგზავნოს სამეგრელოში კიდევ ერთი პროპაგანდისტი.

**ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ქართული** ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია დღეს, 25 აგვისტოს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩა № 6, დილის 11 საათზე. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. დასწრება შეუძლიათ ამხანაგობაში შესვლის მსურველთაც.

**ვიპოვნე** 10 აგვისტოს სამგზავრო მატარებელ № 3-ში პირადობის მოწმობა (სურათებიანი) სხვადასხვა დოკუმენტები და 104 მან. და 72 კ. ფულად მოქალაქე იოსებ ისაკის ძე ელუაშვილის სახელზე. პატრონს შეუძლია მიიღოს ჩემგან. ჩემი მისამართი: სამტრედია, დეპო, მემანქანის თანაშემწე ალექსანდრე დუდუჩავა.

### კრებები და მიტინგები

ორშაბათს, 26 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ხეზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი იწვევს კავშირის ყველა წევრთა საზოგადო კრებას, ვინაიდან საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, დილის 10 საათზე რაიონულ შტაბის შენობაში დანიშნულია ორთაჭალის რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. კრების შემდეგ გადაღებული იქნება მთელი რაზმის სურათი. სთხოვენ ამხანაგებს მოვიდნენ სუფთა ჩაცმული და იარაღით.

— ერთობის რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. დღეს, საღამოს 4 საათზე ერთობის უბნის მუშათა კლუბში დანიშნულია საზოგადო კრება ამავე რაიონის სახალხო გვარდიელთა. დღის წესრიგი: შტაბის ახალი არჩევნები.

# კავკავის ამბები

12 აგვისტოს „ტერსკი კაზაკში“ შემდეგი ცნობაა მოყვანილი კავკავში მომხდარ ამბების შესახებ: „6 აგვისტოს დილა ადრიან ქალაქი კავკავი გამოღვიძებულ იქნა თოფის სროლით, რომელიც მეტად გახშირებული მოისმოდა ტრამვაის ხიდისა და წითელი არმიის შტაბის („სოვდეპის“) რაიონებში. თუ რისთვის ისროდენ, ქალაქში არავინ უწყოდა. ხმები კი დადიოდა სხვადასხვა. ამ გარემოებამ ქალაქში „პანიკა“ შექმნა. მალე გამოირკვა, რომ ბრძოლა სწარმოებდა ქალ. „ვლადიმირის მხარედან“ ყაზახებსა და წითელარმიელებს შორის. აგრეთვე მარჯვენა მხარე ტრამვაის ხიდიდან დაკავებული ჰქონდათ ოსურ ნაწილებს, რომლებიც ესროდენ საბჭოს ჯარებს. სროლა ჯერჯერობით თოფებიდან სწარმოებდა. ამ სროლის დროს ყიზლიარის ქუჩით მოვიდა სამა გეგეჭკორი თავისი 10-ოდე კაცისაგან შემდგარი რაზმით და, რადგანაც არ იცოდა ხეირიანად საქმის ვითარება, გაერია ოსებში. ის ხელად იქნა დატუსაღებული. იმისი რაზმი ამ დროს შეეცადა გაქცევას, მაგრამ იქვე იქნა იარაღ აყრილი და დაკავებული. სწორედ ამ დროს იქვე მივიდა სმეკალოვის ქუჩით შინაგან საქმეთა კომისარი ფიგატნერი და სახალხო საბჭოს წევრი ყაბარდოელი კალმიკოვი, რომლებთაც ოსებს ჰკითხეს—თუ რა მიზეზით ისროდენ, მაგრამ პასუხის მიუღებლად ისინიც დაიჭირეს და თავის შტაბში გაგზავნეს. რამოდენიმე საათის განმავლობაში თერგის მთელი მარცხენა ნაპირი და ყველა ხიდები დაჭერილი ჰქონდათ ოს-ყაზახთა ჯარების ნაწილებს. ჯერ ბინ-ბუნდისას ყაზახთა ერთ ნაწილს, რიცხვით 50 კაცს, ადვილად დაეკავა „სოვდეპის“ (საბჭოს) ქვემო სართული. წითელარმიელები, რომელიც საბჭოს სდარაჯობდენ, იძულებული იყვნენ ზემო სართულში ასულიყვნენ. ამ შენობაში ყაზახთა და წითელ არმიელთა შორის მალე გაიმართა ცხარე ბრძოლა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა. ზემო სართულიდან დაუშინეს ბომბები ყაზახებს და ეს უკანასკნელნიც იძულებული იყვნენ გაერიდნენ... არმიელთა სალტე და გასულიყვნენ შენობიდან. აქ ყაზახებმა ... ცი და 2-ც დაიჭრა... ზიანი მოუვიდათ არმიელებ... საათზე გიორგის ქუჩაზე დააპატიმრეს საბჭოს თავმჯდომარე პაშკოვსკი და ანდრეევი, რომლებიც ყაზახებმა წარგზავნეს თავის უფროს პოლკ. ივანოვთან. მთელი ეს დღე გრძელდებოდა ბრძოლა ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში უმთავრესად ტყვიის მფრქვევლებით და ორივე მხარემ დიდი ზარალი ნახა. ამ დღესვე ყაზახთა კამანდირ პოლკ. სოკოლოვთან მივიდა საბჭოს დელეგაცია და სთხოვს გაენთავისუფლებინა „სოვნარკომის“ (საბჭოს) თავმჯდომარე და წევრები, რათა მათ შეძლება ჰქონოდათ ბრძოლა შეეჩერებინათ და კონფლიქტი მშვიდობიანის გზით მოეგვარებინათ. ეს თხოვნა ასრულებულ იქნა. საბჭომ საჩქაროდ დაიწყო მუშაობა. სროლა ლამე ცოტა მიწყნარდა, მაგრამ ღამევე მალაკნების მხრიდან მოისმა სროლა. მალაკნებმა ოსებს ჯერ სიტყვა მისცეს, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავდენ, მაგრამ ოსებმა გაანთავისუფლეს რა ტყვე მალაკანი—არმიელები, ამათ სიტყვა გასტეხეს და ღამევე ასტეხეს სროლა. ამან გამოიწვია მეორე დილას ინგუშთა ნაწილების ქალაქში შესვლა, რომელნიც მიემხრენ არმიელებს და მეორე დღეს, 7 აგვისტოს, გაჩაღდა უფრო ცხარე ომი: ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ბევრი შენობები მიინგრ მოინგრა ტყვიისმფრქვეველთა და ზარბაზანთა სროლისაგან. სალამოთი სახალხო კომისართა საბჭომ ბრძანებანი გამოუშვა, რომლის ძალით ყველა შემოსული ჯარები ქალაქიდან უნდა გასულიყო დაუყონებლივ და ქალაქში შექმნილ მდგომარეობის გამო ყველა დაწესებულებანი უქმდებოდა და მთელი ძალა უფლება ქალაქში გადადიოდა მხოლოდ საბჭოს ხელში. ამ დროსვე საბჭოს დელეგაცია გაუგზავნა ყაზახთა უფროსს სოკოლოვს, უნდა მოვრიგდეთ, რომ ქალაქი განადგურებას ავაცდინოთ, რისთვისაც საჭირო თქვენი ჯარების გასვლაო. ამაზე სოკოლოვმა უპასუხა, რომ ის მოწვეულია აქ ყაზახ გლეხთა საბჭოს ლავალებით, რომ შეასრულოს მათი საქმე. შეთანხმება არ მოხდა და ბრძოლა უფრო დიდი სიმკაცრით გაგრძელდა. ღამემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მეორე დღეს, რადგანაც იქვე სწარმოებდა თერგის ოლქის საბჭოთა ყრილობა, ამ ყრილობამ ულტიმატუმით მიმართა სოკოლოვს, რომ არა უგვიანეს 8 აგვისტოს დილისა ჯარები გაეყვანა ქალაქიდან. ულტიმატუმს პასუხი არ ეღირსა. ამის შემდეგ ორივე მხარემ პასუხისმგებლობა მოიხსნა თავიდან და ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ქალაქში გაჩნდა ცეცხლი. ქუჩები დახოცილებით აივსო. 9 საათზე ყაზახებმა ზარბაზანი მიუყენეს იმ შენობებს, საცა თვით „სოვნარკომი“ იმყოფებოდა, ათი გასროლის შემდეგ შენობა აიღეს. აქ ბევრი წითელ-არმიელი დაიღუპა.

# ჩუღურეთი

ქალაქის არც ერთ უბანში იმდენ უწესობას არ აქვს ადგილი, რამდენიც ჩუღურეთშია. ყოველივე სიბოროტეს აქ მოუყრია თავი: აქ არის ისეთი საიდუმლო სხვადასხვა საეჭვო სახელებით კაფე-სასადილოები, რომლებიც დიდი ხანია დასაკეტია, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს, მიუხედავათ იმისა, რომ მერვე კომისარიატი ზედვე ახლავს ამ გარყვნილებათა ბუდეს. საღამოობით ყოველ კაფეში ერთი ალიაქოთია და არღნების ჭყიტინის მეტს ვერას გაიგონებთ. იქვე დადის შორი-ახლოს მორიგი მილიციონერი, მაგრამ ის ყოველივე ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ეს კი ნაძირალებს ათამაშებს და ლამის არის მთელს უბანს დაეპატრონონ.

მეტ უწესობას უფრო ადგილი აქვს 19 თებერვლის ქუჩაზე, სადაც მე-2-რე კომერციული სასწავლებელია, მის ახლო-მახლოს მდებარე სხვადასხვა „კაფეები“ წარმოადგენს ქურდ-ბაცაცების და ყველა ჯურის ბანდიტების თავშესაფარს. მაგალითად, ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში ქუჩის პირას, ძველი პოლიციის მოხელეებს დღეს რესტორანი და კაფე აქვთ და ძლიერ კარგათაც ვაჭრობენ. იქიდანვე ისმის ხშირათ არღანის ჭყიტინიც. აგრეთვე ყურადღების მისაქცევია იქვე ეკატერინეს ქუჩის დასაწყისში სხვადასხვა ფირმის ლუდხანები, სადაც არა ნაკლებ სიბოროტეს აქვს ადგილი და რაც ერთნაირ საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის. ერთი სიტყვით, უბანს ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე სისუფთავის მხრითაც ხოლერის გამო. სახლის პატრონებს გააქვთ ნაგავი სახლიდან და იქვე ახლო სადმე მიუყრიან მეზობლებს, ვინაიდან მუშის დაქირავება სიძვირის გამო ნაგავის გასაზიდავათ ერიდებიან. ამის გამო მივარდნილი ქუჩები ნაგვითაა სავსე, ყურადღებას კი არავინ აქცევს. ქუჩებში მილიციონერს ვერ შეხვდებით; ღამე ქუჩაში სიარული საშიშიც არის. საჭიროა ყოველივე ამ

სიბოროტის ბუდეებს ყურადღება მიაქციოს თფილისის მილიციის უფროსმა, ვიდრე გვიანი არ არის. ყარამანი.

## გაგრის კლიმატიური სადგური

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი თავისი კლიმატიური პირობებით ერთ უშესანიშნავესს კუნჭულს წარმოადგენს მთელს დედამიწის ზურგზე. ეს ვიწრო ზოლი ნაპირის მეცნიერებაში ცნობილია, როგორც „რუსეთის სუბტროპიკი", რადგან თავისი მდიდარი ფლორით და კლიმატით ტროპიკებს მოგვაგონებს. სამწუხაროთ, მხოლოდ ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ მიაქცია რუსეთის მთავრობამ და საზოგადოებამ ამ კურთხეულ ადგილს ჯეროვანი ყურადღება, დაიწყეს მისი მეცნიერულად შესწავლა. აღმოჩნდა, რომ აქაურ ნიადაგზე ადვილათ ხეირობს სამხრეთ ამერიკის, და აგრეთვე იაპონიის და ჩინეთის ძვირფასი კულტურის მცენარეები. აქაური თბილი ჰავა და ზღვა ხელს უწყობს შესანიშნავი კურორტების და კლიმატიური სადგურების შექმნას. ამ მხრივ თავისი ბუნებრივი პირობებით საუკეთესო ადგილი უჭირავს გაგრას ჩრდილოეთით ის დაფარულია ცივი ქარებისაგან კავკასიის მთავარი ქედის კალთებით, სამხრეთით ბიბინებს ზღვიდან თბილი სიო, ამიტომ აქ წლიური საშუალო ტემპერატურა 15 გრად. ზამთრის საშუალო ტემპერატურა 10 გრად. ზაფხულის—21 გრად. მთელ წელიწადს ჰყვავის ვარდი, მაგნოლია, აყვავებული ყვავილები; ხარობს ლიმონი და მანდარინი, თვალწარმტაცი ლერწმის ტყეები, ევკალიპტები, დრაცენები, პალმები და სხვა. ცოცხალი ყვავილები რუსეთში ზამთრობით საზღვარ გარეთიდან (უმთავრესათ ნიციდან) შემოჰქონდათ, როცა შეიძლებოდა რუსეთის ბაზრის მოთხოვნილება აქედან დაკმაყოფილებულიყო. აგრეთვე ბოსტნეულობა, მთელ ზამთარს შეგიძლიათ ახალი კომბოსტო, ბოლოკი, ხახვი, ერთი სიტყვით ყოველგვარი მწვანილეულობა მოიყვანოო.

1901 წელს აქ პრინცმა ა. პ. ოლდენბურგელმა დაარსა, სახელმწიფო ხარჯზე, კლიმატიური სადგური. ამოაშრო ჭაობიანი ადგილები, გააკეთა მშვენიერი პარკი, ააშენა 4 სასტუმრო, საერთო რიცხვით, 261 ოთახით, გაიყვანა წყალსადენი და კანალიზაცია, ელექტრონი, კონკა, გზები, დაარსა საავადმყოფო, რეალური სასწავლებელი და ბევრი სხვა საჭირო დაწესებულება, რაიც კარგათ მოწყობილ კურორტს აუცილებლათ ესაჭიროება. ამასთანავე პრინცი ყოველ საშუალებას ხმარობდა, რომ ჩაესახლებია გაგრაში რუსის ელემენტი: ამ მიზნით ურიგებდა შეღავათიან პირობებში საავარაკო მიწის ნაჭრებს, აწვდიდა მათ ხე-ტყეს და სხვა მასალას შენობებისთვის და სხვა. ასე ჩამოესახლა გაგრაში რუსის მოაგარაკენი. კურორტის ზრდას მოჰყვა ხელოსან, ვაჭრების და მუშების ლტოლვა გაგრისკენ, მათ, რადგან სხვაგან მოხერხებული ადგილი არ იყო, გაგრიდან 8 ვერსის მოშორებით მიუზომეს სამოსახლო ადგილები და ასე დაარსდა „ახალი გაგრა". ძველ გაგრაში და ახალ გაგრაში დაახლოვებით სცხოვრებენ 2000 მცხოვრებნი. შარშან „ოზაკომის" მიერ გაგრა შეტანილ იქმნა იმ დაბებთა შორის, რომლებზედაც ვრცელდება სამოქალაქო დებულება. ამ რიგათ შარშან მოხდა აქ ქალაქის ხმოსნების არჩევნები. წრეულს თებერვალში აქ ბალშევიკები დაეპატრონენ თითქმის მთელ სოხუმის ოლქს, ბალშევიკებმა გარეკეს ქალაქის საბჭო, რადგან იგი ბალშევიკური არ იყო და დაარსეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოში არც ერთი გლეხების წარმომადგენელი არ შედიოდა). როდესაც ჩვენმა ჯარებმა დაიკავა გაგრა, ქალაქის თვითმართველობა აღდგენილ იქმნა, და რადგან კლიმატიური სადგური უპატრონოდ იყო, გაგრის კომენდანტმა სადგური დროებით გადასცა ქალაქის თვითმართველობას. კლიმატიურ სადგურს ჰყავს თავისი გამგეობა, გამგის მეთაურობით, მის ხელშია წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტრონი, სკოლა, ბაზარი, კონკა ასე გასინჯეთ ადგილობრივი ეკლესიაც, ასე რომ ქალაქის თვითმართველობისთვის, თითქმის არაფერი აღარ დარჩენილა საკეთებლათ. ეს ძალიან აფიქრებს აქაურ ქალაქის მოღვაწეებს და გადასწყვიტეს სპეციალური დელეგაცია გამოგზავნონ თფილისში მიწათმოქმედების მინისტრთან ამ საკითხების მოსაგვარებლად. აქ მუშაობს მიწათ-მოქ. მინისტრის საგანგებო კომ. გაგრის კლიმატიური სადგურის მისაღებათ, 25 ივლისს საბჭომ მიიწვია თავის კრებაზე მიმღები კომისიის თავმჯდომარე ივ. ხელაძე და დაუსვა კითხვა, თუ როგორ შეხედავს მთავრობა კურორტის ქალაქის მიერ მუნიციპალიზაციასო. ამაზე მიმღები კომისიის თავმჯდომარემ დაახლოვებით შემდეგი უპასუხა: „გაგრის კლიმატიურ სადგურს აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ახალ-გაზრდა ქალაქის თვითმართველობა ვერ შესძლებს კურორტი თავის სიმაღლეზე დააყენოს, ამიტომ მე არა მგონია, რომ მთავრობა კურორტის მუნიციპალიზაციაზე დასთანხმდესო, მაგრამ შესაძლებლათ მიმაჩნია მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლო, რომ ქალაქს გადაეცეს უსასყიდლოთ ნაწილი იმ 13000 დესეტინისა, რომელიც სადგურს ეკუთვნის, აგრეთვე შეიძლება მიეცეს ქალაქს სკოლები, კონკა, ბაზრის მოედანი; სასაკლაო და ეკლესია; ეს სრულებით არ ავნებს სადგურს და ქალაქს დიდ სარგებლობას მოუტანს"-ო. გარდა ქალაქის თვითმართველობისა, გაგრის კლიმატიური სადგურის დაპატრონებაზე პრეტენზიები აქვს აფხაზთა სახალხო საბჭოს. როგორც ვიცით, ჩვენ მთავრობას და აფხაზთა საბჭოს შუა დადებულია ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც აფხაზეთს ენიჭება სრული ავტონომია თავიანთ შინაურ საქმეებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ხელშეკრულება მეტათ სქემატიურია და ეკონომიურ და სოციალურ საკითხებზე თითქმის არაფერია შიგ ნათქვამი. ამიტომ ეს საკითხი ალბათ გადაიჭრება სპეციალური შეთანხმებით საქართველოს და აფხაზეთს შორის. ეხლა იმდენათ აწეწილია კლიმატიური სადგურის მდგომარეობა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება; ზოგიერთი საჩქარო ზომები ეხლავე უნდა იქნას მიღებული. თავდაპირველათ უნდა დაკმაყოფილებულ იქნან მოსამსახურეები და მუშები, რომლებთაც 4 თვეა რაც ჯამაგირი არ მიუღიათ, ამისთვის ან მთავრობამ უნდა გაიღოს ეს ფული (დაახლოვებით 150 ათასი მანეთი დასჭირდება), ან, თუ მთავრობამ ეს ასე ჩქარა ვერ მოახერხა, ნება უნდა დართოს მიმღებ კომისიას გაყიდოს ნაწილი ინვენტარის და საქონლის, რაც ამ ახლო მომავალში სადგურს არ დასჭირდება: მაგ. სადგურს აქვს აუარებელი წყალსადენის ნაწილები, რკინა („სორტის") 197 ფუთი, „ბალკები" 3,600 ფუთი, ფოლადი („სორტის") 98 ფუთი, ტყვია—200 ფ. ამ ნივთების გაყიდვა სადგურს არავითარ ზიანს არ მოუტანს, აგრეთვე სადგურს აქვს თავის საწყობში: სპილენძი ყვითელ ფურცლებათ—39 ფუთი, სპილენძი ყვითელი რგვალი 32 ფუთი, სპილენძი წითელი ფურცლ. 6 ფუთი, სპილენძი წითელი 33. ფუთი, სპილენძის მავთ. (ძველი ქიმიკურ წმინდა) 5 ფ. სულ 115 ფუთი.

15 ფუთი იკმარებს სადგურის საჭიროებისთვის დაახლოვებით 2 წელიწადს, ასე რომ 100 ფუთი სპილენძი შეიძლება მოხმარდეს სახელმწიფო საჭიროებას.

ამასთანავე უნდა შემცირდეს მოსამსახურეთა შტატი. დღეს მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 188 სულს. სადგურს არ შეუძლია ამდენი მოსამსახურე შეინახოს, ამისათვის საჭიროა სალიკვიდაციო ფული. ამას გარდა სადგურს გვერდით ჩამოუდის პატარა მდინარე, თუ ამ მდინარეს ახლავე ჯებირები და ზოგან ქვითკირის კალაპოტი არ გაუკეთდა, რასაც დაახლოვებით 50,000 მანეთი დასჭირდება, წყალდიდობის დროს ადვილათ წალეკავს სადგურის მრავალ შენობას და სხვათა შორის იმ საწყობსაც, სადაც ზემოდასახელებული მასალები ინახება. ერთი სიტყვით, ამ კუთხეს, უხვად დაჯილდოვებულს ბუნებრივი და მრავალი მინერალური სიმდიდრით, ესაჭიროება ინტელიგენტური და მეცნიერული ძალები, რომელნიც გამოიკვლევენ, შეისწავლიან და გაუძღვებიან ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს და კაპიტალი, რომელიც ააყვავებს ვაჭრობა-მრეწველობას და გამოიტანს მიწაში ჩაფლულ აუარებელ სიმდიდრეს. ი. ხ.

## ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

**მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობა.**

ფ. ტ. მოსამსახურენი, რომლებიც ყოველთვის ჩაწიხლული და საცინლად აგდებული იყვნენ მეფობის დროს, შიშველთ და მშიერთ უნდა გაეწიათ მძიმე ულელი სამსახურისა, რომელსაც სამართლიანათ ეწოდებოდა ხალხში—„საკატორღო სამსახური".

თვალი რომ გადაავლოთ ამ უწყების მოსამსახურეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობის ისტორიას, მათ ჯამაგირების „ოკლადებს", დაინახავთ, რომ მათი მდგომარეობა ყოველთვის კატასტროფიული ყოფილა. — ძველმა მთავრობამაც კი დიდი აურზაურის შემდეგ პრესაში მოსამსახურეების შესახებ, წინადადება მისცა უწყების უფროსს სევასტიანოვს,—რომ მას წარედგინა პროექტი მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შესახებ, მაგრამ ამ ბიუროკრატიის პირმშო შვილმა უტიფრათ განაცხადა—ჩემი უწყების მოსამსახურეებს ჯამაგირების მომატება არ ესაჭიროებათო. არა ერთხელ გაუხსენებიათ ეს სიტყვები მისთვის სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ყოველთვის უშედეგოთ დარჩენილა. მოსამსახურენი კი დღე და ღამე მშიერი მიჯაჭვული იყვნენ ზოგი ტელეგრაფის მანქანასთან, ზოგი ფოსტაში ტყავის ტომრებთან.

მაგრამ, სამწუხაროთ, დღეს გაცილებით უფრო მეტ გაჭირვებაში იმყოფებიან ეს მოსამსახურენი, რომლებიც რევოლიუციის ავანგარდის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. დღეს ამ უწყების მოსამსახურენი, შედარებით ყველა უწყებების მოსამსახურეებზე ნაკლებ ჯამაგირებს ღებულობს. მინიმუმი მათი „ოკლადისა" 240 მანეთია, მაქსიმუმი—410 მანეთი. აქედან ცხადზე უცხადესი უნდა იყოს ყველასათვის, რომ წარმოიდგინოს, როგორ გაჭირვებაში იქნებიან მოსამსახურენი. უკანასკნელნი კი ოფიციალური დეპეშებით უცხადებენ მთავრობას, ოლქის უფროსს, კავშირის გამგეობას—უარს ვამბობთ ჯამაგირების მიღებაზე; მოგვეცით მარტო პური; ოჯახის ავეჯეულობა სულ გავყიდეთ პურისთვის, ახლა გასაყიდიც არაფერი გვეშოვება და შიმშილით ვკვდებით, გვიშველეთ, დაგვიხსენით შიმშილისგანო. კავშირის გამგეობამ ყოველი ღონე იხმარა შეეჩერებია მოსამსახურეები და ამავე დროს თხოვნით მიმართა მთავრობას, რომ გაეუმჯობესებია მათი მდგომარეობა, მაგრამ, სამწუხაროთ, თვეზე მეტი გავიდა და გამგეობას პასუხიც არ მიუღია. დაბოლოს ამოძრავდა პერიფერიები და თვითონ წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება; წარუდგინა დასაბუთებული მოთხოვნილება კავშირის გამგეობამაც, რომელიც თხოულობს 300 მან. თვიურ დამატებას და 500 მან ერთდროულათ დახმარების სახით თითოზე.

ჩვენს წინ დევს საბუთები, რომლითაც უხელმძღვანელებია ცენტრალურ გამგეობას 300 მან. დამატების შესახებ.

მაგალითად, ერთ ადამიანზე არის ნაანგარიშევი ერთი მეოთხედი გირვანქა ხორცი დღეში, როდესაც კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამი მეოთხედი გირვანქისა. მიუხედავათ ამისა გამგეობას მაინც 300 მანეთი გამოსვლია ანგარიშით, რის მომატებაც მან მოითხოვა. ჩვენ როგორც გავიგეთ, მთავრობას გადაუწყვეტია მოემატოს თვიურათ თითო მოსამსახურეს 100 მან. და ერთდროულათ 200 მან. მიეცეს. ჩვენ არ ვიცით რით იხელმძღვანელა მთავრობამ ასეთი დამატების გამომუშავების დროს, მაგრამ არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მოსამსახურეების მწვავე მდგომარეობა, და შემცდარი აზრია ვითომ 100 მან. მომატებით გაძღებიან მოსამსახურენი. ასი მანეთით ერთ ფუთ ფქვილსაც ვერ იყიდით და მით ფ. ტ. მოსამსახურე შიმშილიდან ვერ იხსნის თავს. მათ თავის ვალი მოიხადეს, წინედ ჯამაგირების მომატებაზე ხმაც არ ამოუღიათ, ავეჯეულობა გაყიდენ და ასე ირჩენდეს თავს და დღეს კი როდესაც მოხელეს გასაყიდი არაფერი მოეპოვება, დღეს მთავრობის ვალია დაეხმაროს და დაიხსნას მოსამსახურენი შიმშილისაგან. წარმოუდგენელია ზემო მოყვანილ ჯამაგირებით იარსებოს დღეს ადამიანმა; თუ ტრამვაის მოსამსახურესთვის, ან უმცროს მილიციონერისთვის, საჭიროა 450—550 მანეთი თვიურ ჯამაგირათ,—ფ. ტ. უმცროს მოსამსახურეს როგორ ეყოფა თვეში 240 მანეთი? საჭიროა ეს საკითხი კარგათ გაირჩეს ეროვნულ საბჭოს ფრაქციებში, სადაც კავშ. გამგეობამ წარადგინა თავის მოხსენებები და ხელახლა შეტანილი იქმნას მთავრობაში დასამტკიცებლად სამართლიანი მოთხოვნილება. ადამ ბელტი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 22 აგვისტოს შესდგა მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება; 2) ა. მეგრაბიანის განცხადება; 3) გაზეთის შესახებ; 4) განცხადება; 5) სურსათის შესახებ. თფილისის საოლქო კომიტეტისა და რაიონულ კოლექტივების შეერთებული სხდომის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. კალანდაძე. საგარეო პოლიტიკის შესახებ რაც ზომები მიუღია მთავრობას, კრება იწონებს. საშინაო პოლიტიკამ გამოიწვია კამათი. ამხანაგებმა საერთოდ აღნიშნეს მიზეზი შინაური საქმეების მოუწესრიგებლობისა. ჩვენი ვალია შევქმნათ ძლიერი ორგანიზაცია და მით დახმარება გავუწიოთ მთავრობას. ა. მეგრაბიანი აღნიშნავს: სახალხო გვარდიელები ხშირად იჭერენ სპეკულიანტებს. ჩვენ ორ-სამჯერ გადავეცით დაჭერილები მილიციონერებს კომისარისთვის გადასაცემად, მაგრამ მათ ისინი გაუშვეს და ასე გვეუბნებიან: თქვენ ვინა გკითხავთ ასეთების დაჭერას, ეს ჩვენი საქმეაო. ამის შესახებ კრებამ შემდეგი დაადგინა: „საჭიროა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამას გუბერნიის კომისარმა, რათა დაჭერილი სპეკულიანტები დაპატიმრებულ იქნენ". გაზეთის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. მეგრელიძემ, რომელშიაც აღნიშნა, რომ კოლექტივი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. ორი თვის ფული არ გადაგვიხდია არც „ერთობის" და არც „ბორბის", ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ მთლად აირევა საქმეები. გაზეთის ხელის მომწერლებს ფული არ შემოაქვთ. გაზეთის დამტარებელთ ბევრი ნომრები არ მიუტანიათ ხელის-მომწერთათვის, რამაც უკმაყოფილება დაჰბადა ხელის-მომწერლებში. კრებამ დაადგინა: „ვიშოვოთ ამ მოკლე ხანში გაზეთის დამტარებლათ ისეთი ვინმე, რომელიც გამოასწორებს საქმეს და მასთან გაზეთის ფულსაც მოკრებს". ი. ცომაიას განცხადების შესახებ კრებამ მიიღო ასეთი დადგენილება: საჭიროა არსებობდეს მცირე კოლექტივთან ფრაქცია, მაგრამ ის უნდა ემორჩილებოდეს მცირე კოლექტივს. მცირე კოლექტივის თხოვნით ორი იაჩეიკის კრებაზე მოხსენებას გააკეთებს ვ. კალანდაძე. სურსათის შესახებ კრებამ აღიარა, რომ პირველი ყურადღება მთავრობამ სურსათის საქმეს უნდა მიაქციოს. მიღებულ იქნა ასეთი დადგენილება: „მიიღოს მთავრობამ ყოველივე ზომები პურის გასაიაფებლად. კონფისკაცია მოახდინონ იმ სპეკულიანტების ქონების, რომელნიც მალავენ სურსათს და ხელს უწყობენ გაძვირებას". ი. მეგრელიძე.

## მუშათა შორის

**მუშების მტრები.** ნორმალური ცხოვრება, რომ არ არის ჯერ ჯერობით, ეს არა ერთხელ დაწერილა და თქმულა, მაგრამ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგმა რკინის გზის მოსამსახურებმა ნორმასაც, გადააჭარბეს და უპატიოსნებასაც, და გაჭირვებული მუშის სახელის მატარებელი პირველი ხარისხის სპეკულიანტები გახდენ და თან თანამშრომლები ადერბეიჯანის მთავრობისა.

ასეთებში პირველი ადგილი დაიჭირეს თფილისის დეპოს მემანქანემ გაგლოევმა, გორგაშვილმა და თანაშემწეებმა იმერლიშვილმა, შილაკაძემ, ნ. ნაზაროვმა და ბევრმა სხვებმაც. შაბათს, 17 აგვისტოს, განჯისკენ საღამოს მატარებლის გასვლის დროს სად. მეთვალყურეებმა გასინჯეს აღნიშნული მატარებლის ორთქლ-მავალი № 9098 და აღმოაჩინეს სხვადასხვა ადგილას დამალული ხუთფუთამდე შაქარი და 2 ტომარა პაპიროსები, რომელიც ბატონ „მეხანიკებს" უნდა გაეტანათ საქართველოს საზღვრებიდან, იმავ დროს განჯიდან მოსულ მატარებლის ორთქლმავალზე № 9066 მოსულმა მემანქანემ და თანაშემწემ ათი გირვანქა ნავთის გამოპარებაში სად. ჟილოდან გასამჯელო მოითხოვეს სპეკულიანტ თათრისაგან ათი მან. და ფულის გამორთმევის დროს დაკავებულ იქმნენ, რა თქმა უნდა ასეთი მოღვაწეების შემდეგ ნამდვილი პატიოსანი რკ. გზ. მუშებიც ილანძღებიან და ღირსებას კარგავენ მოქალაქეთა შორის და როცა მოქალაქეს მიუთითებ წესიერებისაკენ, ის ფიქრობს ალბათ ქრთამი უნდა და ხელს მიტომ მიშლისო. ასეთი სპეკულიანტებისაგან შეურაცყოფილმა მუშებმა თითონ უნდა აღკვეთონ მუშების მტრები. დეპოელი.

## პროვინცია

**დ. ხობი** (სამეგრელო). 6 აგვისტოს ბალშევიკთა ბრბომ დელეგაცია (ადგილობრივი მონასტრის ბერები) გამოგზავნა, რომ მთავრობის ჯარს უბრძოლველათ დაეყარა იარაღი და ქალაქი დაენებებია მათთვის, მაგრამ მთავრობის ჯარი ამას არ იზამდა და ის იყო, რამდენიმე ხნის შემდეგ ბალშევიკებმა იერიში მოიტანეს და დაიწყო ორივე მხრივ ბრძოლა. მესამე დღეს, რადგან მთავრობის ჯარი მცირერიცხოვანი იყო, იძულებული გახდა დაეტოვებია ქალაქი და დაეხია. შევიდენ თუ არა ბალშევიკები ქალაქში, შეუდგენ „წესიერების" აღდგენას, მაგრამ ამ დროს ზუგდიდიდან მომავალმა მთავრობის ჯარმა დაიწყო ზარბაზნებიდან სროლა. ბალშევიკები შეუდგენ დუქნების ტეხვას. გაძარცვეს და ყველაფერი წაიღეს, როგორც დუქნებიდან, ისე სახლებიდანაც და გაიქცენ. ზოგიერთი მათგანი გაქცევის დროს ხობის წყალში დაიხრჩო. შავი ზღვის რკინის გზაზე დასწვეს ერთი პატარა ხიდი და აყარეს გზა, რომ ჯავშნიანი მატარებელი არ მოვიდესო. ძნელია იმისი აღწერა, რასაც ისინი სჩადიან. მაგალითად, ზევით სოფლებში: ხორშში, საიჯაში, ზენში, ზანაში იგინი ყოველ დღე უბრძანებენ ხან ერთს, ხან მეორე გლეხებს, რომ გააკეთონ სადილი და აჭამონ. სადილი უსათუოდ კარგი უნდა იქნეს, თუ ყველი ექნათ ოჯახში მისართმევი, უსათუოდ უნდა იქნეს გადახელილი. გარდა ამისა ასდევინებენ ფულსაც. მაგალითად, ერთჯერ 3 მან., მეორეჯერ 5 მან. და მესამეჯერ—10—11 მანეთი. მშვიდობიანი ხალხი სწყევლის გაჩენს და თხოულობს, რომ თუ არის მთავრობა, მოგვეშველოს როგორმე, გაანადგუროს და იარაღი აჰყაროს ამ ყაჩაღებსო.

ხობის აღებამდის ხალხი რაღაცას მოელოდა ბალშევიკებისაგან — „კანონებს" მოგცემთო,—ამას ეუბნებოდენ ბალშევიკები, მაგრამ ეხლა, ხობის გაძარცვის შემდეგ, არაფერი უნდათ მათი, რადგან ბალშევიკების კანონი ძარცვა ყოფილაო.

საჭიროა მთავრობამ ერთხელ და სამუდამოთ სასტიკი ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ და ხალხს მიანიჭოს მშვიდობა და წესიერება. მ.

## „ეშმ. მათრახი-ს" ფონდი

მივიღეთ იოსებ სანაძის მიერ შეგროვილი 144 მან. „ეშმაკის მათრახი"-ს ფონდის გასაძლიერებლათ. შემომწირველთა სია არ დაიბეჭდება.

## ფოსტა

**ანანია სალუქვაძეს:** საოლქო კ-ტი გთხოვს თქვენ საჩქაროთ ჩამოხვიდეთ თფილისში.

## რკინის-გზის მიმოსვლა.

**თფილისიდან გავა:**

(თფილისის დროით).

| | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/3c | დღის 1 | — |

**თფილისში მოვა:**

| | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუადღ. 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4c/3 | დილის 11 | — |

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—8)

გახსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)
# ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
# კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექიმი ი. გ. [illegible]**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, [illegible] ქ. № 5. (24—18)

[illegible]
# მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

# ქალ. ქუთაისში
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
**ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფო სამშობიარო განყოფილებით.**
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—10)

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ბუღალტერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**მედ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—74.

ორშაბათს, 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, შტაბის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. ვინაიდან ფრიად საყურადღებო კითხვებია განსახილველი, ამიტომ ამხანაგებს ვთხოვთ უსათუოთ და თავის დროზე გამოცხადდენ კრებაზე.

25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის პარკში დანიშნულია ვაგზლის რაიონის სახალხო გვარდიელების **საზოგადო კრება.** გასარჩევია მეტათ საყურადღებო კითხვები და სავალდებულოა ყველა გვარდიელების დასწრება. გვარდიის შტაბი.

# ელექტრონის ლამფებს
ვყიდულობ 220в და 110в. იქვე იყიდება „სჩოტჩიკები" 220в×5a და 110в×10a. მიმართეთ წერილობით ან პირადათ: სტრელკოვის ქუჩა, № 5, პეტროსოვს, მისასვლელი ჩერქეზიშვილის ქუჩით 3—6 საათამდე. (3—1)

მე 4 რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი. ორშაბათს, 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე შტაბის ბინაზე დანიშნულია ამავ რაიონის სახალხო გვარდიელთა

# საზოგადო კრება.

განსახილველია ანგარიშები და მოხდება შტაბის არჩევნები. ამიტომ ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ უსათუოთ და დანიშნულ დროზე გამოცხადდენ კრებაზე. შტაბი.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით გაიხსნა პირველი ქართული **ბუხჰალტერიის კურსები** ორივე სქესისთვის, წლოვანების განურჩევლათ
# ალ. გ. საათაშვილისა
ორმაგი ბუხჰალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა დაიწყება 5 სექტემბერს. პირობის გაგება შეიძლება დილის 10-დან 12 საათამდე, საღამოთი 5 დან 6 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილიციო უბანი). (4—1)

# უმუშევართა საყურადღებოთ
საქართველოს რკინის გზის შეშის საწყობში, შერემეტიევის ქუჩაზე, საჭიროა მუშები შეშის დასახერხათ და დასაპობათ. პირადათ მისამართი: ქ. თფილისი, საქართველოს რკინის გზის სამასალო ნაწილი, კუთხე ელისაბედისა და სადგურისა, 9 დან 3 საათამდე ყოველდღე, გარდა უქმეებისა. (3—3)

# განცხადება
# ბორჯომის წყლის მყიდველების საყურადღებოთ.
ჩვენს წარმომადგენლებთან როგორც თფილისში აგრეთვე ყველა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებში იყიდება ბორჯომის წყალი დიდი ბოთლი თავისი ბოთლიანათ არა უმეტეს ორი მანეთისა. აგრეთვე ვაცხადებთ წვრილი მოვაჭრეების საყურადღებოთ, რომ ვინც ბორჯომის წყალს დიდ ბოთლიანათ ორ მანეთ ნახევარზე მეტათ გაყიდის მათ წყალი აღარ მიეცემათ. ვთხოვთ მყიდველებს, რომელმა სავაჭრომაც ზემო აღნიშნულ ფასზედ ზევით გადაგახდევინოთ, გთხოვთ გვაცნობოთ ბორჯომში ღია ბარათით.
10—7 პატივისცემით დ. ე. ქებაძე.

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, ქაბაევის შესახვევი, № 1.